



# ქართველობის ექვსი პეტა

---

## გურა ოლივაპანი

ნიმნი კირვები



გაეურ სელაპაურის  
გამომცემლობა

ზურა ოდილავაძე  
ძართველების ექსი ვერა  
ნაწილი პირველი

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა  
თბილისი  
2017

რედაქტორი ნათია ნაფეტვარიძე  
ყდის დიზაინერი გიორგი მაღრაძე  
დიზაინერი ია მახათაძე  
ტექნიკური დიზაინერი თინათინ ბერბერაშვილი

© ზურა ოდილავაძე, 2017  
ყველა უფლება დაცულია.

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“  
აღმაშენებლის 150, თბილისი 0112  
ელფოსტა: [info@sulakauri.ge](mailto:info@sulakauri.ge)

ISBN 978-9941-23-803-1

**Zura Odilavadze**  
**SIX TEMPTATIONS OF GEORGIANS**  
Novel

© Zura Odilavadze, 2017  
All rights reserved.

Published by Sulakauri Publishing, 2017

[www.sulakauri.ge](http://www.sulakauri.ge)

„საბჭოურმა ტოტალიტარულმა სისტემამ ორი სახის ადამიანი და, შესაბამისად, ხელოვანი წარმოშვა:

1. ინდივიდი, რომელსაც უჩნდება სურვილი, გარისკოს, დაძლიოს შიში, ინვნიოს იდეოლოგიური, მორალური თუ ფიზიკური წნეხი, გაუძლოს მას, გაიაზროს და ხელოვნებაში გამოხატოს ამ ტკივილისგან დაგროვილი, უნიკალური ემოციური გამოცდილება. ასეთი პიროვნება მარტოობისკენ მიისწრაფვის და ხდება თავისუფალი;

2. ინდივიდი, რომელსაც წნეხის ქვეშ ცხოვრებისგან გამოუმუშავდა წარმოუდგენელი შემგუებლობა და ვირთხის სიცოცხლისუნარიანობა. ასეთი ხელოვანი, უკეთეს შემთხვევაში, ქმნის ე.წ. „მასობრივ“, გასართობ კულტურას და დიდ პოპულარობასაც აღწევს. ის, პირიქით, კოლექტივს ეძებს და მასთან ერთობაში პოვებს სიმშვიდეს, თუმცა ცდილობს ამ მასაზე გაბატონდეს.

დაბოლოს, ტკივილის შედეგად გაჩენილი შემგუებელი პიროვნება-მუტანტი – „ძეხვის“ ნარკომანია, გარემოებებისა და კოლექტიური შეხედულებების ტყვე.“

სიურრეალისტი გენადი

## პატორი საკუთარი თავისა და წიმნის შესხებ

მე გახლავართ სიურრეალისტი გენო. სად ვიმყოფები ამჟამად? საყოველთაოდ ცნობილი, ბობოქარი მოვლენების შემდეგ, როდესაც თქვენ, თანამემამულენო ჩემნო, ჯერ მომიძულეთ, ხოლო შემდეგ სრული იგნორირებისა და იზოლაციის ალყაში მომაქციეთ, იძულებული გავხდი, ჩემს ხვედრს შევრიგებოდი და განდეგილობის გზა ამერჩია. მიზნისკენ მინდორველებით მივიწევდი, შემდეგ თვალუწვდენელი ტრამალი შემომხვდა და ბოლოს, დიდი დილმის სალ კლდეებს მივადექი. მათ შორის ყველაზე მიუვალი ამოვარჩიე, საკმაოდ კომფორტული გამოქვაბული ამოვკვეთე და იქ დავსახლდი. ვცხოვრობთ ასე, ყველასგან მიტოვებულნი, მარტომბასა და ზომიერ სიდუხჭირეში – მე, სიურრეალისტი გენო და ძალლი ჩემი დემო, მაგრამ ბედ-იღბალს არ ვუჩივით. გათბობა კარგი გვაქვს და შეშის ძებნა არ გვიწევს –

კედელზე „რისტონ“-ის ღუმელი გიზგიზებს. ჩვენი საკვები მოხარშული სოსისია და წინიბურას ქაში. სოსისი იმდენი გვაქვს ნაჭამი, თუ ამ ხორცსაკეპ მანქანაში გატარებულ და თხელ გარსში გახვეულ სურსათ-სანოვაგის სახეობას სიგრძეზე დავაწყობთ, შემდეგ მას, დამატებით, ჩვენ მიერ განადგურებულ სარდელსაც მივუმატებთ, მივიღებთ კოლოსალური სიგრძის სარტყელს, რომელიც, ჩვენი გამოთვლით, უკვე მერვე წრეს ურტყამს დედამინას. ჭამის შემდეგ ვიძინებთ და შეღვიძებისთანავე ფიქრს ვიწყებთ. ეს „გაღვიძება-საკვების მიღება-ყავა-ფიქრი-დაძინება-გაღვიძების“ ციკლი დღედაღამ არ წყდება – ვაზროვნებთ და ვდარდობთ თქვენზე მე და დემიკო.

მოგეხსენებათ, რახანია ძლიერ გვაღელვებს თქვენი, აშკარად შეშლილთა სავანის მსგავსი ადგილსამყოფელი – ჩვენი საერთო მამული და მასში გაბატონებული მეტად უცნაური ზნე-ჩვეულებანი. ამიტომ ვცადეთ, გონებრივი და სულიერი ძალების მოხმობით, თქვენი ამგვარი ყოფის ფესვებამდე ჩავსულიყავით და შედეგად, გარკვეული ნუსხა ჩამოვყარეთ. მაშ ასე:

## ივერიელთა ექვსი დამანგრეველი ვებგა

1. „მართლობა“ და ყოვლისმცოდნეობა – უვიცობა;
2. პოლიტიკაში საყოველთაო ჩართულობა, პოლიტიკანობა და საბჭოეთის ნოსტალგია;
3. კლანურობა და ელიტარიზმი – ნეპოტიზმი;
4. ნარკომანია და ალკოჰოლიზმი – ინფანტილიზმი;
5. ძალადობისადმი მიდრეკილება და კრიმინალისადმი მოწინება – მშიშრობა;
6. მამაკაცი და ქალი – ფარისევლობა;

ბევრჯერ გადავხედეთ კედელზე ამოფხაჭნილ ამ ჩამონათვალს. საბოლოოდ ჩამოყალიბებამდე ვყოყმანობდით, რადგან ვთვლიდით, რომ არის კიდევ ბევრი სხვა დიდი ზიანის მომტანი ვნება, რომლებიც ქართველებს გვახასიათებს. მე და დემიკომ მრავალი ღამე ცხარე დებატებში გავატარეთ. დიდხნიანი ბჭობის შემდეგ კი დავასკვენით, რომ ქართველების დამანგრეველი ყველა ვნება, ამა თუ იმ გზით, ზემოთ ჩამოთვლილი ექვსიდან ნარმოიშობა.

მაგალითად, შურიანობა და ბოლმა ავიღოთ. „მართლობა“ უკვე, თავისთავად, გულისხმობს უპირატესობის შეგრძნებას, რაც, ცხადია, გიბიძებს შედარების ობიექტს ყოველგვარი

არგუმენტების გარეშე, გაცხარებით უმტკიცო, რომ ის შენზე „ცუდია“. ეს კი, თავის მხრივ, გაა-მაყებულ პიროვნებაში აუცილებლად აგრესიასა და ბოლმას ბადებს.

ასევეა სხვა, ჩვენში მეტად გავრცელებუ-ლი – სიზარმაცე, მცონარება და სუფრული განცხრომისადმი ლტოლვა. ერთი შეხედვით, ეს თითქოს ვნებათა ცალკე ჯგუფია... მაგრამ, თუ დავაკვირდებით, ყოველივე ჩამოთვლილი „მართლობის უპირატესობიდან გამომდინარე-ობს: მაშინ, როდესაც ყველაფერი იცი, რაღად გჭირდება სწავლა, შრომა და გარჯა? ქართული სუფრა ხომ ისედაც აკადემიაა!

მოკლედ, მიზეზ-შედეგობრივი კავშირები ჩვენთვის ცხადი გახდა და ამიტომ მე და დემიუ-სი მხოლოდ ამ ექვსი ძირითადი და დამანგრევე-ლი ვნებით შემოვიფარგლეთ.

საბოლოო შეთანხმებას მივაღწიეთ და გეგმის შემდგომ ნაწილზე გადავედით – ვცადეთ, ჩვე-ნო უსაყვარლესო თანამემამულენო, როგორმე დაფიქრებისა და კრიტიკული აზროვნების იმ ულრან ტყეში თქვენი შეტყუება, რომელიც ასე გაშინებთ. ასეთი იყო ჩვენი ვერაგი, მაგრამ, იმავდროულად, კეთილშობილური ჩანაფიქრი. ამისთვის ხსენებული მანკიერებანი ლიტერა-ტურულ ტექსტებში შევფუთეთ და ამ სახით,

როგორც ჩვილს საწოვარას, ისე გაწვდით. რამ-დენად გამოგვივიდა თქვენი „მოტყუება“, როცა წამოიზრდებით და არტახებს შემოიგლეჯთ, შემდეგ შეაფასეთ.

დიდი დიღმის გამოქვაბულიდან, თქვენდამი  
პატივისცემით, სიურრეალისტი გენადი და  
ძალლი მისი დემო



## თავი 1

„მართლობა“ და  
ყოვლისმცოდნეობა – უვიცობა



## მართალი ციხლები

(თანამედროვე პატერიკი)

„როდესაც მკითხავენ, რატომ არ არის  
ჩემს გულში არც ერთი რელიგია, მე  
ვუპასუხებ, რომ დავკარგე იგი, თვით  
რელიგიის მიზეზითვე“.

*ფრიდრიხ შილერი*

## ცერილი

ძმაო ჯორდანო, ჩემო ახალგაზრდობის განუ-  
ყრელო მეგობარო!

მოგმართავ მე – შენი თაყვანისმცემელი და  
დიდი ხნის მეგობარი, სხვებისთვის კი – არა-  
ფრით გამორჩეული, რიგითი მოქალაქე გენადი,  
რომელსაც არევ-დარევია რამსები და ვეღარ  
გაურჩევია კეთილი და ბოროტი. ჯორდი, დახ-  
მარებისთვის ადრეც ხშირად მომიმართავს.

ამჯერადაც გწერ, რადგან მიზეზი ჩემი აჭრისა ბოლომდე ვერ გამირკვევია, არც გამოსავალი ჩანს. ეგებ შენ მირჩიო რამე... უმორჩილესად გთხოვ, წერილში მოთხოვობილი ამბავი დაკვირვებით წაიკითხო, მჭმუნვარე სულს რომ შენი სიბრძნის მაამებელი სალბუნი დავადო და აღნიშნული ორი ცნების გარჩევის უნარი დავიბრუნო. დიაგნოზის უფრო ზუსტად დასმისა და შემდგომი მკურნალობისთვის ჩემი ცნობიერების დომხალის ჩამოყალიბების ისტორიაზე მოგითხობ.

სიყვარულით, სიურრეალისტი  
გენადი (გენო) „ორპირელი“

P.S.

გეცოდინება, რომ „ბატონოთი“ მომართვა კარგა ხანია ყველას ავუკრძალე. ეს ბოლო დროა, ჩემო ჯორდანო, ვცდილობ კიდევ უფრო დავიმდაბლო თავი. ამ მიზნით ყველას ვთხოვე, შაბათ-კვირას „გენკა“ დამიძახონ – ეს ისე, მაინც რომ იცოდე...

## მიმდევრული განვითარების დასაწყისი

ჯორდანო, მოგეხსენება, პატერიკი არის ძველი ხელნაწერი კრებული, რომელშიც თავმოყრილია წმინდა მამათა და დედათა ცხოვრების ამსახველი თხზულებები. დღეს XXI საუკუნეა – დრო შეიცვალა, მაგრამ ქრისტიანობის არსი ხომ იგივე დარჩა. ჰოდა, მეც ვიფიქრე, მოდი, დღევანდელ საეკლესიო მოღვაწებზე დავწერ და საუკუნეების სილრმიდან მომავალ ტრადიციას გავაცოცხლებ-მეთქი. შორს, სადმე, უდაბნოში წასვლა არ დამჭირვებია – მივიხედ-მოვიხედე და ქვემოთ მოყვანილი ახალი ყაიდის პატერიკიც დავწერე.

მაშ ასე, როგორც ჩვენი ეკლესიის წინამძღვარი მამა კარპენტეროსის (ლვინერია) გადმოცემა გვასწავლის, ციალამ ცხოვრება მუდამ პირუთვნელ მიუკერძოებლობასა და ობიექტურობაში, ყველაფერში და ყველასთან მართლობაში გაატარა. თანაც, ის იყო უბინო, უმანკო და კდემამოსილი – ასე მამა კარპენტეროსი ამბობს, მაგრამ მე... კარგი, ამაზე შემდეგ. აქვე გატყობინებ, რომ ეკლესიაში წლებია საღამოს ლოცვა თუ წირვა არ გამიცდენია, რაც მკაცრ მორჩილებასა და საკუთარი თავის უარყოფაშიც მეხმარება. შედეგად, ჩემი და მოძღვრის აზრები ერთმანეთ-

ში სრულიად ამერია და ამიტომ თხრობას ორივეს (ჩემი და მამა კარპენტეროსის) შერწყმული ნარატივის მიხედვით გავაგრძელებ.

მოკლედ, ჩემო ბატონო, ციალას დედა მართალი ქალი ყოფილა, აი, მამა კი – ლოთი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ის დედით მართალი მოევლინა სამყაროს. აქვე გაგიმხელ ერთ ფრიად ყურადსალებ გარემოებას – შუალამისას მოთრეული მთვრალი ქმარი გაგანია მძიმე მარხვაში, ქალის ნების გარეშე, მისდგომია მას. ასე, ცოდვაში, ჩაისახა ციალა. დაბადებისას ბავშვს დიდი კივილი აუტეხია, სულ დაუქცევია იქაურობა! რაღა თქმა უნდა, ეჭვშეუტანლად მართალიც იყო, რადგან ადამიანებმა დედის თბილ და კომფორტულ მუცელს მოაშორეს. დედის ძუძუთი იკვებებოდა და კაცობრიობაზე განაწყენებული წამოიზარდა. მეზობელ თანატოლებში გავიდა. თურმე სულ იდგა, პატარებს უყურებდა და დუმდა – ამ დროს ის, გარეგნულად მაინც, აშკარად მიუკერძოებელი ჩანდა.

სკოლაში შეიიყვანეს. არითმეტიკის გაკვეთილზე ციალამ შეიტყო, რომ  $2+2=4$ . ეს აქსიომა შეიქნა მისი მართლობის საყრდენი დედაბოძი. გოგონა ყველგან სახალხოდ იმეორებდა: „ $2+2=4$  და მორჩა! არა – 5-ს, ან 3-ს ან თუნდაც 8-სა თუ 36-ს – არა, მხოლოდ 4-ს!“. ამ ჭეშმარიტების

გამოთქმის დროს, რათა მის სიმართლეში ეჭვი არავის შეეტანა, ციალა ხელს მაღლა სწევდა, მტევანს შლიდა და ორ-ორ თითს ერთმანეთს ატყუპებდა. ცხადია, ზადენი-ორპირის ეპარქიაში მას ვერავინ ეკამათებოდა – ამჯერად ის მიუკერძოებელიც იყო, ობიექტურიც და მართალიც. უფროს კლასებში უკვე მრევლის საპატიო წევრი გახდა. გოგონას სულიერ წვრთნასა და დახვენას, ცოდვილი ბუნების გამოწვასა და მისი ღვთაებრივით ჩანაცვლებას მამა კარპენტეროსი, ხანდახან კი ეპარქიის მეუფე – მთავარეპისკოპოსი საპატერო (გურგულია) ხელმძღვანელობდნენ. მათივე კურთხევით, ციალა მრევლმა საოცრად ჭკვიანი და ნიჭიერი გოგოს წოდებით შერაცხა. არც სულიერი ამაღლების მეინსტრიმული მიმართულება დაივიწყეს – გოგო უბინოებასა და უმანკოებას მედგრად იცავდა და ქალიშვილობის ინსტიტუციის სადარაჯოზე უდრეკად იდგა. კდემამოსილება, როგორც სრულყოფილების ყველაზე მაღალი საფეხური, ჯერ წინ იყო...

წმინდა ანტონი დიდის, ერთმორწმუნე და ამიტომ უფრო წმინდა სერაფიმ საროველისა და იმავე მიზეზით სრულიად განწმენდილი დედა ქსენია პეტერბურგელის თხზულებების ათვისებასთან ერთად, ციალას მართლობამ ახალი

ძალით იფეთქა! მამათა და დედათა სწავლებით შეიარაღებული ახალგაზრდა ქალი რაიონული მასშტაბის ერეტიკოსებს ფეხდაფეხ დასდევდა, მათ დებატებში იწვევდა და ბდლვირსაც ადენდა. ერთხელ თვით დედაქალაქიდან ჩამოსულ, „ორპირელ ბელზებელად“ წოდებულ დავით („ცეცხლუარმყოფელი“) დარბაისელსაც გადაეყარა. ცბიერი არ გაუჩერდა და გაქცევისას თურმე ჯინიანად გაჰყვიროდა: „ზეციური ცეცხლი მაინც არ გადმოდის, „ზიპოს“ შვილი ვიყოო!“. მართალი ქალიშვილი დაედევნა და მისი უხეირო არგუმენტები სირბილშივე უკუაგდო. მრევლში ალფროვანებით ჰყვებოდნენ, რომ ციალამ „ორპირელი ეშმას“ დასავლური მწვალებლობიდან ქვა ქვაზე არ დატოვა. ასეთი გახლდათ ციალას უკომპრომისო ბრძოლა, ზოგადად, ფრანკო-მასონებთან, კერძოდ კი, ამერიკული ყაიდის ცვედანებთან და ევროპული ჩამოსხმის ლიბერასტებთან.

ქალიშვილმა პირში კენჭები ჩაიწყო და, თუ ცხარე დებატებში მონაწილეობას არ ჩავთვლით, წლები სრულ მდუმარებაში გაატარა. ამასობაში მართლობის გზაზე შემდგარი ციალა დაშვრა და გამოიბრძმედა. კაბა სიგრძეს თანდათან იმატებდა (თავისითო, მრევლში ჩურჩულებდნენ). შავი კაბის ქვედა ბოლო ასფალტს დაფლეთილი

ნაკეცებით ასუფთავებდა, რაც გოგონას არა  
მხოლოდ სალოსობაზე მიანიშნებდა, არამედ,  
დამატებით, ღვთაებრივ შარმს სძენდა. ის იყო,  
კაბის ბოლომ ასფალტზე მიწებება დაიწყო, რაც  
ციალას უმოძრაო მდგომარეობაში მოიყვან-  
და და, სავარაუდოდ, ხელთუქმნელ მონუმენ-  
ტად აქცევდა, რომ ქალიშვილმა ფერი იცვალა.  
მიზეზი კი ქალაქად ინსტიტუტში გამოცდების  
ჩასაბარებლად გამგზავრება იყო. აი, ჩემო  
ჯორდანო, ამ დროიდან დაიწყო ჩემში შინაგა-  
ნი განხეთქილება და შფოთი, რასაც მრევლში  
„ბეჭებზე ეშმაკის მოხტომა“, იგივე „დაბრკო-  
ლება“ ეწოდა.

## დედაშალაში

„პლეხანოვზე“, იტალიურ ეზოში, ბინა იქირავა  
და გამოცდებისთვის მზადებას შეუდგა. არქი-  
მანდრიტ რაფაელ კარელინის „Путь христианина“  
იმდენჯერ გადაათვალიერა (რუსულად კითხვა  
ჯერ ძალიან უჭირდა), რომ წიგნს „უძლურება“  
შეეყარა და დაიშალა... „ღირსი პაფნუტისა და  
მისი ასულის, ევფრონისინეს სახელობის უნი-  
ვერსიტეტის“ (პესუ) რექტორთან მიიჭრა და

მთავარეპისკოპოს საბატეროსა და მამა კარპენტეროსის სარეკომენდაციო წერილიც გადასცა. მეუფის ლოცვითა და კურთხევით გამოცდები წარმატებით ჩააბარა. ამ დროიდან ის საყოველ-თაო საგანმანათლებლო ღვაწლს მიეცა. დაუ-ლალავად, დღედაღამ, შინ და გარეთ ციალა ორ ჭეშმარიტებას ქადაგებდა:

1. ქართველები უჯრედის დონეზე (მემბრანა, ციტოპლაზმა, მიტოქონდრიები, გოლჯის კომპლექსი, ლიზოსომები, რიბოსომები, ბირთვი და სხვა), გენეტიკურად (დნმ-რნმ), თქვენ წარმოიდგინეთ, ბიოქიმიურადაც (ცილები, ლიპიდები, ნუკლეიინის მჟავა, ნახშირწყლები და სხვა) წმინდა სისხლის მართლმადიდებლები არიან. ეს, თავის მხრივ, გვაძლევს სითამამეს დავასკვნათ, რომ ივე-რიელები მართალ ერთა შორისაც კი ყველა-ზე ჯიშიანი მართლები ვართ!
2. ჩვენი რწმენა ერთადერთი სწორი სწავლებაა და ვინც მას არ მიიღებს, ან ჯოჯოხეთის კუპრში ამოიხრუკება, ან გეენის უძღები მატ-ლის ლუკმა გახდება“! – ამ ერთი ამოსუნ-თქვით წარმოთქმულ ტირადას რატომღაც ძველი იტალიური პარტიზანული სიმღერით ასრულებდა: „ავანტი პოპოლო, ალა რისკო-

სა, ბანდერა როსა, ბანდერა როსა...“. რა იყო ასეთი დაბოლოების მიზეზი – კინოფილმ „ღიმილის ბიჭების“ ბავშვობიდან გადმოყოლილი რომანტიკა თუ „ნინოს“ მიტინგების პარტიზანული სულისკვეთება უახლოესი წარსულიდან, ჩემთვის, ჯორდი, დღემდე უცნობია. ალბათ, ორივე ერთად – საბჭოთა ნოსტალგია და რუსეთის ერთმორწმუნეობა... ჰო, ახლა გამახსენდა, „ნინოსი“ სხვა იყო – „ბელა, ჩაო“, მგონი, ესეც პარტიზანულია. მოკლედ, ასეთი იყო ციალას მიერ ინტერ-პრეტირებული ქრისტიანობა, მისი შეკუმშული არსი... და კიდევ ბევრი მეტანია, ნაირ-ნაირი დაუჯდომლის კითხვა, ეპიტიმიების მორჩილად ატანა და საკუთარი „მეს“ სრული უარყოფა... და ისევ მეტანიები, მეტანიები...

გარყვნილებასაც დიდი მონდომებით ებრძოდა. თუმცა გაუჭირდა – ქუჩის ბიჭებმა დაბმა დაუწყეს. ერთმა, „კრაკადილით“ დაკაიფებულმა „კაი ბიჭმა“, მოახერხა, დაათრო და გაუიმა კიდეც... დამნაშავემ „პირველი ღამის“ ქადაგება ერთადერთ ჭეშმარიტ გზაზე საწოლშივე მოისმინა... და უცებ მოტყდა. ციალა კინალამ დაიცენტრა! ქალაქელ მოძღვრებს არ ენდო, სასწრაფოდ მამა კარპენტეროსთან ჩაქანდა და აღსარებაში აპკის მთლიანობის დარღვევის

შესახებ მოძღვარს უამბო. სასჯელი მძიმე იყო: ყოველდღე „იესოს ლოცვასთან“ ერთად 100 დიდი და 50 მცირე მეტანია, სახარების თითო თავი და ლვთისმშობლის დაუჯდომელი; დილა-სალამოს – მამა კარპენტეროსის მიერ შედგე-ნილი სპეციალური „ლოცვა ქალიშვილობის აღდგენისთვის“ და ფსალმუნები 50-ე და 90-ე – ეს ყველაფერი მკაცრი მარხვის ფონზე... 40 დღე იღვაწა, მოინანია და ეზიარა კიდეც... აპკის გაკერვაზე, ორი მიზეზით, არც უფიქრია:

1. მამა კარპენტეროსის ლოცვა სასწაულებს ახდენდა;
2. ციალამ ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვიტა, მამრებისკენ არასდროს გაეხედა.

ქალაქში დაბრუნდა. ინსტიტუტში უკვე ერთ თვეში „დედაოთი“ მოიხსენიებდნენ და რიდით უყურებდნენ. წლის ბოლოსთვის სტუდენტურ ცხოვრებას ალლო აულო. ციალამ შეამჩნია, რომ მის ყოვლისმცოდნეობასა და მართლობას კონკურენტები გამოუჩნდნენ. ეროვნული ლიბერალური ინტელექტუალიზმი, რაღა თქმა უნდა, მემარცხენე გადახრით, ძალას იკრებდა. ქალიშვილი დაფიქრდა – პოზიცია საკმაოდ მომგებიანი იყო – შენ პროგრესულიც ხდებო-

დი და, იმავდროულად, მუდამ მართლობასაც ინარჩუნებდი. ახალი მრნამსი, პირველ ყოვლისა, თავხედობასა და უტიფრობას მოითხოვდა, რაც ორპირში სულიერი წვრთნისას შესანიშნავად ჰქონდა ათვისებული. ბევრი არ უყოყმანია – ციალა მოწინავეების, როგორც მათ ეძახდნენ – „პრადვინუტების“ ცქრიალა ბანაკში გადაბარგდა.

ერთი გადაულახავი წინააღმდეგობა მაინც იყო – არჩევანი პროგრესულ აშშ-სა და ერთმორწმუნე რუსეთს შორის. გოგონამ ბევრი იფიქრა და გამოსავალიც მონახა: „მართალია, ამერიკის შეერთებული შტატების შმოტკები, მანქანები და მობილურები მევასებაო, მაგრამ ტექნიკური პროგრესი მხოლოდ გარეგნული მხარეა და სულიერება ამერიკაში არააო; მაგათი არც საკვები ჩაიდება პირში – გენმოდიფიცირებულია და ქიმიკატებით არის დაძეძგილიო; გარყვნილებაზე აღარაფერს ვამბობო“. აქ მემარცხენეობაც წამოეშველა და დილემა ამერიკის, როგორც იმპერიალიზმის საყრდენისა და მსოფლიო დიქტატორის უკიდურესი შეძულებით გადაწყდა. ციალა არასამთავრობო სექტორს მიეძალა და ორგანიზაციის – „ქართული ოჯახის სინმინდის დამცველთა ლიგის“ („ქოსდალი“) დამფუძნებელიც გახდა. გრანტი

მიიღო, პარიზი და რომი მოინახულა.

სტატუსისა და მიუკერძოებლობის შესანარჩუნებლად, „ციკო“ ევროპულ კულტურასა და ფასეულობებს ღიად აღიარებდა. ევროპაზე მსჯელობას ჩვეულებისამებრ შემდეგი შემჩნევით ასრულებდა: „დოსტოევსკი, ჩაიკოვსკი და პროკოფიევი მაინც სულ სხვა სიღრმეებიაო“. ჯორდი, შეამჩნევდი, რომ უკვე „ციკოდ“ ქცეული გოგო სვეტურ დახვეწილობას მიაწვა, გულში კი რუსეთის სიყვარულს რუდუნებით იმარხავდა.

„ციკო“ ბოჰემურ ყოველდღიურობაში ჩაიძირა. დაიწყო ელიტაში გაჩითვის პროცესი. კდემამოსილების წოდების მინიჭების თარიღი დროებით გადაიდო – ქალიშვილმა გული გახსნა და, როგორც ორპირში იტყვიან, „ფეხებიც გადაშალა“. ის ნაირ-ნაირ მხატვრებთან, მწერლებთან თუ მუსიკოსებთან, განსაკუთრებით კი ელექტრონული მუსიკის შემქმნელებთან თუ „დიჯეებთან, განურჩევლად მათი ასაკისა (ამბობენ, სქესისაცო) უიმაობას მოჰყვა. ამასობაში ის ხან „ციკო“ იყო, ხანაც – „ცერიალა“... „ცილუკა“, „ციალიკა“, „ციკლიკო“... ბოლოს, როდესაც გაფარჩაკებისკენ წავიდა, „ოპა, ციალა“ და „ცელკა ციალკაც“ კი შეიქნა...

სექსში უკიდურესი ლიბერალიზმის ათვი-

სების შემდეგ ციალა მეორე უკიდურესობაში გადავარდნილა და LGBT საზოგადოებასთან ბრძოლითაც გაუთქვამს სახელი. როგორც თავად უწოდებდა – „პიდარასტებს“ გააფიქრებით ეკვეთა! დიადი მიზანიც ცხადი იყო – მომავალი თაობის ამ დასავლური გარყვნილების სენისგან გადარჩენა... და, რაღა თქმა უნდა, ჩვენი, მოწიფულების ხსნაც.

## შიდა ბრძოლა „პიდარასტებთან“

### 17 მაისის აღლუმი მზადდებოდა...

ჭეშმარიტ პატრიოტთა მთელი ძალები მობილიზებული იყო ერთი დიადი მიზნისთვის – უკანალის უბინოების დაცვა! საიდუმლო ბაზაზე გაცხოველებული სამხედრო-საველე სწავლებები მიმდინარეობდა. პოლიგონზე, განცალკევებით, მეტად გაძლიერებული პროგრამით, გადამწყვეტი ბრძოლებისთვის სპეციალური მოიერიშე ჯგუფი – „ტრაკიულობი-777“ წვრთნას გადიოდა...

## **17 მაისის აპოკალიფსი მოახლოებულიყო!..**

ფეხზე იდგა სრულიად საქართველოს მართლ-მორნმუნე ეკლესიაც! მამაოების ტრიადები „ტაბურეტებით“ „სამბოს“ ილეთებს ხვეწდნენ, ფოლადის ჯავშანუილეტებს ირგებდნენ, ზემო-დან კამუფლაჟისთვის, რათა დროზე ადრე არ გამჟღავნებულიყვნენ, ძაძებში იმოსებოდნენ და „დედის ტრ...ს“ ორატორიას გალობდნენ. სტი-ქაროსნები, სტუდენტები და სხვა ნორჩი ჰომო-ფობნიც ფხიზლად იყვნენ და იქვე ურიამულით შეტაკებისთვის ემზადებოდნენ...

## **ამხანაგებო, 17 მაისის პუტჩი იწყებოდა!..**

ქვეყანაში დიდი ფუსფუსი იყო ატეხილი: პოლიციის გაძლიერებული პატრულირება, ქუჩების გადაკეტვით, რათა გაძვალტყავებულ LGBT-ელთა 10-კაციან არმიას როგორმე პარ-ლამენტის წინამდებარე პლაცდარმისკენ არ გაეღწია; სამხედრო-საპარმო ძალები საყაზარ-მო მდგომარეობაზე გადაჰყავდათ, ჯავშანტექ-ნიკა დაქოქილი იდგა...

დიდი აუიოტაჟი იყო პრესასა და ტელევიზია-შიც! „ჯაბრაილის“ თოქშოუში ერთდროულად მოძღვრებსა და ქალაქის სახელოვან „პუტანე-ბს“ პატიუებდნენ.

## **მოკლედ, 17 მაისის წარლვნა კარს იყო მომდგარითი!**

ტრაკდაუცველი მოსახლეობა ლოცვად იდგა – მასები სისხლისმღვრელი ომისთვის სულიერად ემზადებოდნენ. ხაზინის ოქრომჭედლები „მეობისთვის ტრაკდამაშვრალთა“ საპატიო ორდენების მოვარაყებით იყვნენ დაკავებულნი.

ამ დროს, „ლიბერასტები“ და სხვა ნაგვები მეტად ავისმომასწავებლად იყვნენ გაყურსული... ივერიის ცის კაბადონზე შავი ღრუბელი ჩამონალილიყო. დიდი განსაცდელის წინაშე იდგა სრულიად საქართველო... პრობლემა კი მხოლოდ ერთი უმნიშვნელო გარემოებით გამოიხატებოდა – LGBT-ეშნიკებს მშვიდად ეძინათ, ცისფერ სიზმრებს ხედავდნენ და გარყვნილების ზეობისა და არშემდგარი აღლუმის შესახებ არაფერს უწყოდნენ. თავდადებული პატრიოტები კი მაინც ცქვიტად იყვნენ – ფხიზლობდა ერი, არ ეძინა ბერს...

ისმის კითხვა: ამ გარდამტეს ჟამს, სად იყო და რას აკეთებდა მართალი ციალა? ის მშრომელთა მასებს გადამწყვეტი ბრძოლისთვის ამზადებდა და ცეცხლოვანი გამოსვლებით საომარ ჟინს აღვივებდა.

## მართალი პიალას მოწოდება თანამემამულებას!

„ამხანაგებო, დანო და ძმანო, ივერიელნო, თქვენ  
მოგმართავთ მე – ორპირელი ციალა! გახარებთ,  
რომ 17 მაისს ტელეკომპანია „გოლგოთა TV“-ს  
პირდაპირი ეთერით ერი და ბერი ვიხილავთ დიდ  
დაპირისპირებას საქართველოში:

ოჯახის სიწმინდისთვის მებრძოლები VS  
LGBT თემი, ლიბერასტები და სხვა ნაგვები!

ჩვენი დიადი მიზანი ნათელია და კეთილშო-  
ბილური! ჩვენ, რადაც უნდა დაგვიჯდეს, მოვა-  
ლენი ვართ, დავიცვათ უმრავლესობის უფლე-  
ბები, რათა მათ, ყოველგვარი დაბრკოლების  
გარეშე, განახორციელონ თავიანთი ლეგიტი-  
მური ნდომა და ცემით ამოხადონ სული სოდო-  
მისა და გომორის მოციქულებს! ამ გზით ჩვენ  
არა მხოლოდ ოჯახს განვამტკიცებთ, არამედ  
მშობლებსაც სათანადო პატივს მივაგებთ!.. და  
ეს არ გახლავთ ამ ღონისძიებისგან მიღებული  
ყველა სარგებელი – ჩვენ ვაამებთ წინაპართა  
სულებს და მანანით ვაქეიფებთ მათ ზეციურ  
იერუსალიმში!

ამას გარდა, გრანდიოზული მსვლელობის

დასრულების შემდეგ, „ქართული ოჯახის სიწ-  
მინდის დამცველთა ლიგის“ (ქოსდალი) ორგა-  
ნიზებით, „დინამოს“ სტადიონზე გაიმართება  
საზეიმო კონცერტი. გალა წარმოდგენის პრო-  
გრამა მოიცავს:

დასაწყისში დასავლეთ ტრიბუნასთან,  
სამთავრობო ლოჟის გასწვრივ, საპატიო ნიშ-  
ნით – „მეობითა და გაგებით ტრაკწალებულნი“  
დაჯილდოვდებიან ტრაკთდაცვეთას სასწაულე-  
ბრივად გადარჩენილი მოქალაქეები.

მამათმავლობის პანდემიის თავიდან ასაცი-  
ლებლად, პროფილაქტიკის მიზნით, დაჯილ-  
დოების რიტუალს მოჰყვება დამნაშავეთა მასო-  
ბრივი დასჯა. წარმოდგენა გაიხსნება აღნიშნუ-  
ლი არამზადების მამებისა და დედების სახალხო  
გაშოლტვით. თქვენ შესაძლებლობა მოგეცემათ,  
დატკბეთ 666 შარვალჩანეული მამაკაცისა და  
კაბაანეული დედაკაცის ფუმფულა, ახლად  
გამომცხვარი ფუნთუშასავით მადისაღმძვრე-  
ლი, გონების დაკარგვამდე ამგზნები, თეთრი,  
ქათქათა ტრაკებით, რომლებიც მათრახის  
გადაჭრასთან ერთად თქვენ თვალწინ, იდეა-  
ლურად მრგვალ ფორმასა და თვალშისაცემ  
სიმკვრივეს შეიძენენ, ხოლო დასასრულს, ატა-  
მივით გავარდისფრდებიან... (შეამჩნევდით, ამ  
სახიფათო სენის შეფარული ფორმის არა მხო-

ლოდ მამაკაცებში, არამედ დედაკაცებშიც კი გაუონვას...).

იქვე ეყრებიან მათი გარყვნილი შვილები, მოფრიალე შავი ბაირალებით, ზედ მეწამული ფერის წარწერით: „ხარი ხართან დააბი, ან ფერს იცვლის, ან ზნესაო“. თქვენ იხილავთ დასაწვავად გამზადებულ 7 გაძვალტყავებულ მამათ-მავალს, სასონარკვეთას მიცემულ 17 მეძავს, თითო-თითო ბისექსუალსა და ტრანსსექსუალს, სამ ლესბოსელსა და სხვა ერეტიკოსებს... აგიზ-გიზდება ცეცხლი და მთელი ივერიის მსოფლიოში ყველაზე მართალი მოსახლეობის თვალწინ დაიწყება გარყვნილი სხეულების შებრაწვა, მათგან ტანჯული სულების გამოდევნა და, უკვე განსპეტაკებული სახით, ზეცად ამაღლება! ყოველივე წარიმართება ერთობლივი ლოცვის: „ანა-ბანა-ნიცა, რუსების ბალნი-ცა, ჰეი, გედევან-ჩო, ბა-ლან-ჩოს“ – თანხლებით (უმორჩილესად გთხოვთ, ღვთის დახმარებით დაიზეპიროთ მოცემული ტექსტი!).

საზეიმო საღამო დაიხურება წარმოდგენით, რომელიც გაიმართება სუპერთანამედროვე საცურაო ცენტრში – „პოსეიდონის სამყარო“. თქვენ იხილავთ ინგლისის „უსასთან“ ერთად დაძირვისა და ივერიის გაბრწყინების წარმტაც სცენებს. კონცერტის დასასრულს, აბობოქრე-

ბული აუზის ზედაპირიდან თავს ამაყად ამოყოფს ქართული სინქრონული ცურვის დედოფალი ბერტა ბაგრატიონი-ვერზბლუიშევსკა, რომელიც მოშიშვლებული მკერდით განასახიერებს ორ გადარჩენილ ბორცვს – ერთმორწმუნერუსეთსა და გაბრწყინებულ ივერიას – ამინ და ვაშა!“.

მქუხარე, ხანგრძლივი აპლოდისმენტების დასრულების შემდეგ ციალა მკაცრ გამომეტყველებას იღებდა და მრისხანე ხმით წარმოთქვამდა: „ლონისძიებაზე დასწრება ყველასთვის სავალდებულოა! არ მობრძანდებით და თქვენი აჯობებს...“

მგზნებარე სიტყვის დასრულებისას ამჯერად, ალბათ, უფრო ციალა, ვიდრე „ციკო“, გულზე ხელს იდებდა და საყვარელ „ბანდერა როსას“ იწყებდა. მართალ მეომართა კოპორტები ღამის წყვდიადში გალობდნენ და ფეხშეწყობით ფრონტის ხაზისკენ მიაბიჯებდნენ: „ავანტი პოპოლო, ალა რისკოსა, ბანდერა როსა, ბანდერა როსა...“

როგორც ხედავ, ჩემო ჯორდი, „პიდარასტებთან ომში“ ციალა ძირითადად „მეტაბურეტკეების“ იდეოლოგიური მხარდაჭერითა და დასავლეთის გარყვნილების მხილებით შემოიფარგლებოდა. შეიძლება ითქვას, ის ჯან-

საღი ცხოვრების წესს უწევდა პროპაგანდას. ქალიშვილი უშუალოდ არ მონაწილეობდა ხელ-ჩართულ ბრძოლებში, რადგან მასში ინტელე-ქტუალ-ლიბერალი ჯერ კიდევ ცოცხლობდა და ძალადობრივი ქმედებების გზაზე აბრკოლებდა. ისიც უნდა ითქვას, რომ ბოლომდე მაინც ვერ მოითმინა და რუსთაველის გამზირიდან გაშმა-გბულ ბრძოს გამოქცეულ ერთ-ორ მამათმა-ვალს პუშკინის სკვერთან მაინც წამოენია და დააწიწვნა თმა.

## პერპის „პმბლლება“?

ჩემო ჯორდანო, აქ შეიძლება დაეჭვდე და გაი-ფიქრო: „როგორ ათავსებდა ეს ქალი ერთდროულად ლიბერალური ფასეულობების დაცვასა და LGBT თემთან ბრძოლას?!“. მეც იგივე კითხვა დავუსვი საკუთარ თავს... გულისთქმამ მყი-სიერად მიპასუხა: „ისევე, როგორც ევროპით მოხიბვლასა და გულში რუსეთით ტკბობას – ცხელი ყინულივით, რაა...“. მაინც ვერ მოვისვენე და მამა კარპენტეროსს მივმართე. მან მომიგო: „ყოველივე ღვთის განგებით ხდება და მოეშვი შენ ამ ჩაკირკიტებით ყველაფრის გამოძიებას!“

მეც კურთხევას დავემორჩილე და დავდუმდი. ისე, მართალი გითხრა, ჯორდი, ჩემთვის ასე დავასკვენი: ამ ადამიანში, როგორც ყველა ჩვენ-განში, ერთდროულად ორი „მე“ თანაარსებობდა და გარემოებების მიხედვით, ქალიშვილი ხან ციალა იყო, ხანაც „ციკოდ“ იქცეოდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქელი „ლიბე-რასტებისგან“ ციალას კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდა. უურნალ „თმახუჭუჭა ლიბერალის“ ფურცლებზე „ციკოზე“ კრიტიკული სტატიაც დაიბეჭდა. მოკლედ, შინაურულად შეიძლება ითქვას – ინტელექტუალური საზოგადოების თვალში „ციკო“ გაბანძდა...

ციალამ დედაქალაქში მოღვაწეობა დასრულა და მშობლიურ ორპირს დაუბრუნდა. მიიხედ-მოიხედა და „ქართველ მართალთა ალიანსი“ (ქმა) დააარსა. „ქმა“-ში მიღება დაიწყო. რაიონის მონინავე ინტელიგენცია და რკინიგზის პროლეტარიატი, სოფელ გრაკალის გლეხობა და გალო-თებული ახალგაზრდობა ისედაც პატრიოტული სულისკვეთებით იწვოდნენ, სწავლული წინა-მძღოლის გამოჩენამ კი ახალი მუხტი შესძინა ეროვნული ფასეულობებისთვის მებრძოლთ. „ქმა“-ს რიგები დღითი დღე იზრდებოდა. პარ-ტიის ოფისი მამა კარპენტეროსმა აკურთხა და კედლები სულ ზეთის ჯვრებით დაფარა. „ქმა“

არჩევნებისთვის მზადებას შეუდგა. ერთი რამ იყო ცუდი – ციალას მიერ რაიონის ყველა კუთხე-კუნჭულში გაგზავნილმა შიკრიკებმა ვერც ერთი მამათმავალი ვერ აღმოაჩინეს... ეგ არაფერიო, არ შეიმჩნია ციალამ და ბრძოლას მოწყურებული ინტელიგენცია სახალხო მასებთან ერთად კანტიკუნტად მიმობნეული „ნაცებისა“ და კიდევ უფრო იშვიათი „ლიბერასტების“ გასანადგურებლად დარაზმა.

ციალამ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლე შეიტანა რაიონის მოწყენილ ცხოვრებაში – დაწესდა ორპირელი ერეტიკოსის – დავით („ცეცხლუარმყოფელი“) დარბაისელის გმობის კვირეული, რომელიც გამოჩენილი ბოლშევიკისა და რევოლუციონერის, ადგილობრივი მნიშვნელობის წმინდანებთან გათანაბრებულ ბერტოლუჩი („გრაკალელი“) სტურუას სადღე-სასწაულო წირვით სრულდებოდა. მეორედ მოსვლის ლოდინში გათანგულ ორპირელებს ერთკვირიანი უქმედლეები დიდად ეამათ. იმართებოდა ღრეობა – ხალხი ქეიფობდა და, ჩვეულებისამებრ, სუფრის დასასრულს შეზარხოშებული სტუმრები, ჭერის მფარველი ანგელოზის სადღეგრძელოს მაგივრად, „ცეცხლუარმყოფელის“ დედის ტრ...ს აგინებდნენ. საკვირაო წირვის შემდეგ კი მრევლი კომუნისტური ეპო-

ქიდან შემორჩენილ ბერტოლუჩი („გრაკალელი“) სტურუას ძეგლთან იკრიბებოდა და ციალას კურთხევით, „ინტერნაციონალის“ მაგივრად „ბანდერა როსას“ გალობდა. დღეს სულ სხვა მოთხოვნებიაო, ამბობდნენ მორწმუნეები.

რელიგიურობასთან შერწყმულმა პოლიტიკოსობამ ციალა სულ გადარია – ის სიცოცხლეშივე დაბოლმილ კერპად იქცა. მისი ყველას ეშინოდა და ახლობლებიც კი მასთან შეხვედრას გაურბოდნენ. დიახ, ჯორდი, რაოდენ პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს, სწორედ „მართლობის“ შეგრძნება წარმოშობს შურს და, აი, როგორ! უპირატესობის შეგრძნება, თავისთავადაც, გიბიძგებს შედარების ობიექტისთვის არგუმენტების გარეშე იმის მტკიცებას, რომ ის „ცუდია“, რაც, თავის მხრივ, გაამაყებულ პიროვნებაში აგრესიისა და ბოლმის მიზეზი ხდება. ამას გარდა, არსებობს შურიანობის უფრო სიღრმისეული მოტივებიც. უვიცობა და სიბნელე, ჩემო კეთილო მეგობარო, ადვილად გარწმუნებენ საკუთარ წარმოსახვით უპირატესობაში. ამ დროს ადამიანი შეიძლება აქტიურიც იყოს, როგორც ციალა, მაგრამ მას „გონებრივი სიზარმაცე“ ეუფლება. აბა, რაღა საჭიროა სწავლა და შრომა, თუ კველაფერი ყველაზე კარგად იცი? „მუდამ მართალი“ თავს უფლებას აძლევს,

ნებისმიერს ყვირილით, აგრესიულად ასწავლოს, რაც ადამიანებს მეტად აშინებს და, შედეგად, კერპი უკრიტიკო ველში იკეტება, მას ყველა უხმოდ ეთანხმება. გაამაყებული პიროვნება იწყებს ბრძოლას ყოველივე პროგრესულთან და მისი წარმოდგენებისგან განსხვავებულთან, რადგან ეს ახალი ცოდნა კერპის სხვებზე უპირატესობას აკნინებს. დროთა განმავლობაში, „მართალი“ ხედავს, რომ ის გარშემომყოფთაგან არა მხოლოდ იზოლირებულია, არამედ, სიზარმაცის გამო, აშკარად ჩამორჩა კიდეც. ეს კი, თავის მხრივ, კერპს აღიზიანებს, მაგრამ ახალი ცოდნის მიღების მაგივრად, ის საკუთარ „მართლობაში“ ქვავდება და სხვა ადამიანებისადმი შურით კიდევ უფრო ივსება. ასე გადაიქცა ციალაც ერთ დაბოლმილ „მართალ“ კერპად. კერპი კი, როგორც ცნობილია, არ იცვლება და „ყოვლის-მცოდნეობას“ ვერ თმობს, ამიტომ პიროვნულად არ იხვეწება – ის ხომ საკუთარ „მეს“ არ ებრძვის, არამედ, პირიქით, ამპარტავნების დემონს სხვისადმი შურითა და ბოლმით კვებავს. ასეთი იყო, ჯორდი, ციალას გაკერპების გზა...

გავიდა წლები. ციალა მუდმივ მართლობასა და მგზნებარე პატრიოტიზმს თანაბრად მაღალი ინტენსივობით ინარჩუნებდა. სრულიად ორპირის მოსახლეობა მას მხოლოდ „მართალ

ციალად“ მოიხსენიებდა. ერთი შეხედვით, ქალი სიცოცხლეშივე მარმარილოს ქანდაკებად იქცა... თუმცა ვინ იცის, მის გულში რა ხდებოდა, რა ფიქრები და ვნებები ბობოქრობდა? რა თქმა უნდა, არავინ, არაფერი... მაგალითისთვის, კარგი კაცი თავის დროზე რომ შეხვედროდა, შესაძლოა წყნარ ბედნიერებაში გაეტარებინა ცხოვრება – მუყაითი შრომითა და მეუღლის ტრფობით. ახლა შვილიშვილებთან ერთად ბუხარს მიუჯდებოდა და ბავშვური ენით იმ ღმერთკაცზე მოუთხრობდა, რომელმაც თავი ადამიანის ბუნების სიყვარულით ავსებისთვის დადო. უამბობდა იმ გულჩვილ რწმენაზე, რომელიც ასე იშვიათია და, ჩვეულებისამებრ, მოხუცის სახეს კეთილი ღიმილითა და სიმშვიდით ასხივოსნებს. სწორედ ასეთი, არამინიერი სიყვარულით განათებული მოხუცების ნახვისას რწმუნდები, რომ წმინდანებზე პატერიკები სინამდვილეა და არა გაზვიადებული გადმოცემა... ეჲ, მართლაც, რომ არავინ, არაფერი იცის ამქვეყნად.

ჰო, უკაცრავად, ჯორდი, ფიქრებში გავერთე. მართალია, რა როგორ იქნებოდა, არავინ იცის, მაგრამ მოვლენები ასე განვითარდა: ერთხელაც მამა კარპენტეროსმა შენიშნა, რომ ციალამ საკვირაო წირვა გააცდინა. გავიდა დღეები, ისევ არ

გამოჩნდა. სამი კვირის თავზე სახლში გაუარა... და ციალა გაციებული დახვდა. აქ, ჯორდანო, ჩემი თხრობა დასასრულს მიუახლოვდა, რადგან ციალა გარდაიცვალა, ხალხურად რომ ვთქვათ – მოკვდა ან უფრო უბრალოდ – „მოკტა“.

ორპირისა და გრაკალის მრევლი დიდხანს ბჭობდა, ციალა ღმერთმა წაიყვანა, თუ მან აიღო და თავისით მოკვდა? თუმცა სიკვდილს რას გაუგებ... ყველას თავისი დრო აქვს. ჰო, ახალ-გაზრდა ქალი იყო, ორმოცდაათ წლამდე, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს სამუდამოდ დაიძინა... რაღა თქმა უნდა, ნაზიარებმა და მარადიულზე ფიქრებში... ისე, თუ დაიძინა, მაშინ ფიქრებიც ვერ ექნებოდა, უფრო, ალბათ, სიზმარი... მოკლედ, ციალა საზერეების ეკალბარდებიან ბილიკს დაადგა. „ბანდერა როსა, ბანდერა როსა...“ – რატომლაც ახლა მეც ეს მოტივი გამახსენდა...

მერე იყო პანაშვიდები, მამა კარპენტერო-სის მიერ წესის აგება, კუბოს გარშემო მეუფის მედიდური სვლა – ეს იყო ბოლო და ყველაზე მაღალი მწვერვალი ციალას ტრიუმფისა! ის უემოციოდ, სრულიად მიუკერძოებელი, კუბოში იწვა და მრავალმნიშვნელოვნად დუმდა და მთავარი (!!!) – როგორც ყველა „პარავოზივით“ თუ ტანკივით „ნაგლი“ იყო, გარდაცვალებამ

მას აშკარად კდემამოსილი გამომეტყველება შესძინა. არამიწიერი დამშვიდება და მოკრძალება ყველამ შენიშნა – ასე გამოირჩა ციალაქალთა სქესში ყველაზე მაღალი სათნოებითაც შემკული – ის კდემამოსილი გახდა!.. ბოლო კი, ჩემო ჯორდი, ყველასთვის ერთია – გასვენება და „კაი ქელები“.

... შემთვრალი მამა კარპენტეროსი ოდნავ ბარბაცით სახლში მივიდა. ანაფორა არც გაუხდია, ისე მიწვა. მღვდელი თვლემდა და ფერადი ზმანებით ტკბებოდა: „ორპირის რაიონი, ცენტრი – მოასფალტებული მთავარი მოედანი ბალახოვანი ყვავილნარით, გარშემო – „კულტურის სახლი“, პროკურატურის შენობა და რკინიგზის სადგური, გვერდით – პოსტამენტზე დადგმული „ბრონზის“ სტალინი... შორს – მდინარე რიონი, სიმინდის ყანების თავზე – თხელი ნისლი... ვაა, აშკარად ადამიანია!.. რაკეტის ძრავის მსგავსად, ცეცხლს გამოისვრის და ზეცისკენ მიფრინავს, მიფრინავს!..“, – დააკვირდა და... დაა... და-და-და -დან -დადან! ცუმპა-რამპა-მპამ-პაპამ!.. ოპოი, საოცრებავ – ღრუბლებისკენ მიმავალის სახე იცნო: „ციალაა! ციალაა-ა-ა! დიმპიტაური-დამპიტაური“, – წამოიყვირა და საწოლიდან დამდუღრულივით წამოვარდა. მაშ, ციალა... ამაღლდა?.. ვაა, ციალა კი არა, ეგ

ყოფილა ციოლკოვსკი!..“

დაჯდა, აღელვებისგან აზრებს თავს ვერ უყრიდა: „ქელეხის შაქრიანი ღვინო ბევრი კი დავლიე, პირი მიშრება, ხო იცი...“, – მთელი გრაფინი ცივი წყალი გადაუშვა, – „მაგრამ მაინც სიზმარია თუ ხილვა?..“ როგორც მერე გაირკვა, უკვე მაშინ მამა კარპენტეროსს ერთი ფრიად გასაოცარი აზრი გასჩენია: „ნუთუ მე წმინდანის ცხოვრების მომსწრე გავხდი?.. ისე, ქალი წმინდანი, თან ბოლო ჟამის დროებაში, ქართველებს არც გვყავს... დეფიციატია!“ გარეთ გავიდა, ღობეს მიაშარდა და ისევ დაიძინა.

დილით ადრე გაელვიძა, ხილვა გაახსენდა: „... ბოლო ჟამის ივერიაში ქალი წმინდანები არც გვყოლია!“ – ამ ფიქრებში ხელ-პირზე წყალი შეისხა, თავი მოიწესრიგა და ზადენში მეუფე საბატეროსთან გაქანდა.

### „ბებათიფიკაცია“

როგორც იცი, ჯორდანო, რომის კათოლიკურმა ეკლესიამ შუა საუკუნეებში გამოიმუშავა კანონზაციის ორი საფეხური: ნეტარად შერაცხვა (ბეატიფიკაცია) და წმინდანად შერაცხვა.

ალბათ, ისიც მოგეხსენება, რომ ბეატიფიკაციის ეტაპზე ხდება გარდაცვლილის მიწიერი ცხოვრებისა და გაწეული ღვაწლის უფრო დეტალური შესწავლა, აგრეთვე მომავალი წმინდანის მიერ მოხდენილი სასწაულების უტყუარობის დადასტურება. მართლმადიდებელ ეკლესიას ასეთი გამიჯვნა არ ახასიათებს, თუმცა სხვა-დასხვა წმინდანი შეიძლება ატარებდეს კონკრეტულ წოდებას: „ნეტარი“, „ღირსი“, „მართალი“, „კეთილმორწმუნე“.

ასე მივუდგებით საკითხს, თუ ისე, მამა კარპენტეროსი, როგორც აწგანსვენებული „ციკო“ იტყოდა, წმინდანებში გენდერული თანასწორობის აღდგენას შეუდგა. საქმე პერსპექტიულად გამოიყურებოდა – სამამულო წმინდან ქალთა დეფიციტის იდეით მეუფე საბატეროც აენთო და მღვდელი ციალას ხატის შექმნაზეც აკურთხა. ამისთვის ის ფოტო შეარჩიეს, რომლიდანაც ციალას LGBT თემთან შეტაკების ეპიზოდი უნდა გადმოეხატათ.

მანამ კი ერთად ჩამოწერეს ციალას ცხოვრების საკვანძო მომენტები. ქალაქურ ეტაპზე ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს – ნაკლები აქცენტი გაეკეთებინათ მომავალი წმინდანის პირად ცხოვრებაზე, ხოლო თუ ვინმე, ზედმეტად ცნობისმოყვარე, „ჭუჭყიან საცვლებში“

ქექვას მაინც დაიწყებდა, შემდეგი კლდესავით შეუვალი არგუმენტი მიეგოთ: „ყოველივე ღვთის განგებით ხდება და, ალბათ, ღმერთმა „ციკოს“ დროებითი გარყვნილება მისი უკიდურესი დამდაბლებისთვისა და თვითგვემის გაძლიერების-თვის დაუშვაო... ესეც რომ არ იყოს, აღვირის ხანმოკლე ახსნა იმავე დედაქალაქში „პიდარასტებთან“ თავდადებული ბრძოლით სრულად „რასხოდდებაო“.

...დაიწყო „ბეატიფიკაციის“ დიდი მოლოდინებით აღსავსე ჟამი. ჯერ კიდევ რაიონული მასშტაბის წმინდანის მიერ მოხდენილი სასწაულების აღრიცხვა და სპეციალურ რვეულში მათი დეტალური შეტანა მეუფე საბატეროს ხელმძღვანელობით მამა კარპენტეროსს დაევალა. მღვდელი ციალას სამარესთან გადაჭიმულ ტურისტულ კარავში გადასახლდა და დღედაღამ დაკვირვებებს აწარმოებდა. რვეული თანდათან ახალ-ახალი ჩანაწერებით ივსებოდა.

საფულავთან მისვლის შემდეგ ზოგი იკურნებოდა, ზოგსაც თავი აღარ სტკიოდა, ორი ბერწი დედაკაციც დაორსულდა, სამმა ლოთმა სმას თავი დაანება... იყო შემთხვევა, გვალვის გამო, ციალას სახელზე ლოცვისა და წვიმის წამოსვლისა, ოღონდ, როგორც მეზობელი სოფლის მღვდელი მამა ბრეკეტი (დურუჯიშვილი) იუწყე-

ბოდა, ლოცვის ხანგრძლივობა და ინტენსივობა ვერ გაუთვლიათ და მოსავალი ლვარცოფს წაულევავს. ეკლესია, ხალხი ციალას სასწაულების კონკრეტული რაოდენობის დაგროვებას ელოდებოდა. ეს ციფრი საიდუმლო გათვლებით 667 უნდა ყოფილიყო. როგორც ამას მეუფე საბატერო ხსნიდა – „666“ სატანის ციფრია, ხოლო მასზე გადაცილება ეშმაზე გამარჯვებას და სულის მიერ ყველა, განსაკუთრებით სიძვა-მრუშობის, საზვერეების წარმატებით გასვლას ნიშნავსო. „ოჳ, შენ რა გითხარი, ციალა, ფეხის წაცდენის-თვის – ეს რა მიტკალივით ქათქათა ცხოვრება, კინალამ სამუდამოდ ტალახში ამოგანგლეო“, გაღიზიანებით ჩაილაპარაკებდა ხოლმე უძილობისგან გადაღლილი მამა კარპენტეროსი. ასე რომ, ჯორდი, ამ წყეული უმანკოების გარშემო მითქმა-მოთქმა არ წყდებოდა, რადგან „ერშიც და ბერშიც“ ბეატიფიკაციის დასრულებამდე გარკვეული ეჭვი მაინც რჩებოდა.

შველაც უმალ გამოჩნდა – ერთ მშვენიერ დღეს ხატზე გამოსახული თვალები გამჭვირვალე სითხით აივსო და ციალას ხატმა ცრემლდენა დაიწყო! ხატს ბამბები შემოუწყვეს, ხოლო, სითხის სიუხვის გამო, ქვემოთ ვედროც დაუდგეს. გადმოდენილი „მირონი“ სტერილურ ბოთლში გადაიღეს და თბილისში საპატრიარქო-

ში ექსპერტიზაზე გაგზავნეს.

მირონმდინარე ხატის ამბავი ორპირის  
რაიონს გასცდა და მთელ ივერიას მოედო.  
კეთილმორწმუნე ერი ციალას საფლავისკენ  
გამოემართა – საქართველოში დიადი პილი-  
გრიმობა დაიწყო!

იმერეთიდან მრევლი დაიძრა,  
მიწა ზანზარებს ქართლის!  
ციალას ხატთან ივერთა მოდგმას  
სურს, შეიმოსოს მადლით.

...აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამ-  
მართველოს ხელოვნური თანამგზავრი უკა-  
ნასკნელი თვეებია დედამიწაზე მეტად უცნაურ  
და შემაშფოთებელ ინფორმაციას აგზავნიდა  
– საქართველოს ტერიტორიაზე შეიმჩნეოდა  
ხალხთა მასების არამოტივირებული გადაადგი-  
ლება... ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების  
გაერთიანებული შტაბი დღედაღამ ფხიზლობდა,  
სამხედრო ელიტა საგონებელში იყო ჩავარდ-  
ნილი – ვერაფრით გაერკვიათ, რა ხდება, რა  
საიდუმლო განზრახვა ამოძრავებდა ათასობით  
ქართველს, რომლებსაც ასე უყვართ თავიანთი  
კუთხე-კუნჭული? ათასობით ადამიანი მოსწყდა  
მშობლიურ კერას, თბილ საწოლსა და მუდმივი

ქორწილ-ქელეხების სამყაროს, და სამარშრუტო ტაქსების კილომეტრიანი კოლონით ორპირის მიმართულებით გაქანდა...

რაიონის სასაფლაოს გარშემო უამრავი სავაჭრო ჯიხური დაიდგა, გაიხსნა რესტორანი „ზეკარი“ და სასადილო „ციალას კერძები“, განცალკევებით აღიმართა დიდი სავაჭრო ცენტრი – „ქოსდალი მარკეტი“, რომელშიც მხოლოდ წმინდანის ხატები, შიგნით ჩატანებული, ასფალტისგან დაფლეთილი ქვედატანის ნაჭრები და საფლავზე მისატანი „ოლეინას“ ზეთი იყიდებოდა.

მოკლედ, ხალხთა მასების დიდი მოძრაობა ატყდა. იმერეთი დაიძრა, სამეგრელო-სვანეთი მარშით მოაბიჯებდა, აჭარიდან სტუდენტობის ტალღა აზვირთდა – ყველა ორპირისკენ მიისწრაფვოდა... ადგილობრივი გამგეობისა და ეკლესიის მსახურთა გაერთიანებულ კრებაზე ციალას ამოსვენება გადაწყდა. ხალხმა შვებით ამოისუნთქა – მათ საშუალება მიეცათ ნეშტის მთხვევის რიტუალი აღესრულებინათ და უდიდესი მადლი მიეღოთ!

ახალი ტრენდის ესოდენ წარმატებული და სარფიანი ექსპლუატაციის ამბავმა საპატრიარქომდეც ჩააღწია...

ორპირს „პრადოს“ შავი ჯიპების მთელი

კოლონა ესტუმრა, რომელსაც მეუფე საბატე-როს არანაკლებ შავი და დიდი ჯიპი მიეგება. დელეგაციას საპატრიარქოს წარმომადგენელი მიტროპოლიტი ჯექსონ (გოროზია) ხელმძღვა-ნელობდა. მღვდელთმთავარი და ამალა ჯერ აქეიფეს, მერე ბეატიფიკაციის პროცესისთვის სახელდახელოდ აშენებულ სასტუმროში მოას-ვენეს... გზად საფლავზეც შეირბინეს და ციალას ცხედარს დახედეს. საიდუმლო კრება საღამოს 7 საათისთვის დაინიშნა.

კრების დაწყებამდე სულ რაღაც ნახევარი საათით ადრე სასტუმრო „ზეციურ იერუსალი-მთან“ რაიონში ინტრიგანობით სახელგანთქმუ-ლი „რიუა შოკა“ შენიშნა მრევლმა. ამბავი მამა კარპენტეროსსა და მეუფე საბატეროს უმალ შეატყობინეს... თუმცალა ბლოკადის გამო-ცხადება უკვე გვიან იყო, „შოკამ“ სასტუმროს კიბეზე აირბინა, კარი შეაღო და ფოიეში შენარ-ნარდა...

კრება გაიხსნა. საპატრიარქოდან ჩამოსუ-ლი მიტროპოლიტი ჯექსონ (გოროზია) წამოდ-გა, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ პირჯვარი გადაისახა და შეკრებილთ თავზარდამცემი სიახლე აუწყა: „უღალთმიანი შოკა“ არცთუ უსაფუძვლოდ („ხატს დავხედე თუ არა, ეგრე-ვე გულმა რეჩხი მიყო“) ამტკიცებდა – ცია-

ლას მამის მხრიდან ბაბუა ჰყოლია სომეხი!.. შეფიქრიანებულმა მეუფემ დააყოლა: „ზემოთ კონსულტაციის გარეშე არაფერი გამოვა – ეს სახელმწიფოსა და ჩვენი რწმენისთვის იმდენად მნიშვნელოვანი საკითხია, რომ ჩემს დონეზეც კი ვერ გადაწყდება“. გაოგნებული კრებული სამარისებურმა დუმილმა მოიცვა...

დილის ლოცვის შემდეგ სტუმრებმა რესტორანში მსუბუქად წაიხემსეს და თბილისისკენ აიღეს გეზი. გამგზავრებამდე მიტროპოლიტმა ჯექსონმა (გოროზია) გულდაწყვეტილ მრევლს მიმართა: „თქვენთვის და ციალასთვის ყველაფერზე წავალ – მამის ლოთობასა და გაგანია მარხვაში ჩასახვაზე თვალს კიდევ დავხუჭავდი, მაგრამ გვარის გადაკეთების ამბავს ვერ დავმალავ... მე რომ წავიყრუო, როდისმე მაინც გამუღავნდება. მოდით, მეგობრებო, ჩვენ ვილოცოთ და ღვთის ნებას მივენდოთ. იმედი ვიქონიოთ, რომ უზენაესი საკუთარ განზრახვას აუცილებლად გაგვიცხადებს... რა ვიცი, ვნახოთ...“. საგონებელში ჩავარდნილ მამა კარპენტეროსს გალიზიანებით ჩაულაპარაკია: „ოხ, შოკა, შოკა, შური და ბოლმა გვღუპავს ქართველებს, წმინდანობა ყველას გვინდაო!“

ციალას ცხედარი კვლავ მიწას დაუბრუნეს, ხოლო მისმა ხატმა ცრემლდენა შეწყვიტა...

## ხატი

ჩემო ახალგაზრდობის მეგობარო, ჯორდი, თუ აქამდე აღწერილი მოვლენები კიდევ როგორლაც ჯდებოდა წინაპართა სარწმუნოების ჩარჩოში, ამ დროიდან დაიწყო მოვლენები, რომლებმაც ასე დამაბნია და მიმაღებინა გადაწყვეტილება, შენთვის მომენტია.

როგორც ზემოთ შეგატყობინე, დაიწერა ციალას ხატი. იმ დარღვევაზე, რომ ჯერ წმინდანად არალიარებული ქალიშვილის ხატი შეიქმნა და ის ეკლესიაში დააბრძანეს, კარგი, ბატონო, თვალი დავხუჭე...

ერთ მშვენიერ დღეს, საღამოს ლოცვის წინ, ტაძარს ვალაგებდით. მე ციალას ხატთან მივედი, ტილო გადავუსვი და ვემთხვიე (თუ პირიქით, ჯერ ვემთხვიე და შემდეგ გადავუსვი, ზუსტად არ მახსოვს). გარეთ გამოსულს კი თვალებიდან ცრემლდენა დამეწყო და ბაგეები ამენვა. უმალ გავიფიქრე: „ნუთუ რაიმე ზეციური ნიშანია?“ – და ეკლესიაში შევბრუნდი. ხატთან მიახლოებისას კი შორიდანვე შევნიშნე, რომ მისი ზედაპირი არაბუნებრივად პრიალებდა. დაკვირვებით დავათვალიერე, ხელი მოწინებით ავუსვ-დავუსვი – ხატზე აშკარად რაღაც ოდნავ წებოვანი მასა იყო წასმული. თითი

ცხვირთან მივიტანე, გემო გავუსინჯე... ენა ისე ძლიერ ამენვა, რომ ტაძრიდან გამოვვარდი და დოქი წყალი მთლიანად დავცალე. ცრემლდენა შეწყდა, აი, ენა კი ისევ მიხურდა... გადავწყვიტე: ისე რომ არავისთვის არაფერი გამემხილა, რადგან უკვე გარკვეული ეჭვი მღრღნიდა, დამეწყო ამ მეტად საინტერესო ფენომენის შესწავლა. თვალი მუდამ ხატისკენ მეჭირა, რაიმე რომ არ გამომპარვოდა. რაღა ბევრი გავაგრძელო, ჯორდი, საყვარელო, და მამა კარპენტეროსს ფაქტზე წავასწარი – ის ციალას ხატს თვალების მიდამოში წინაკას უსვამდა...

ამ არცთუ სასიამოვნო აღმოჩენამ მომცა გარკვეული დასკვნების გაკეთების საფუძველი: მამა კარპენტეროსს ყველაფერი ჰქიდია, მხოლოდ პოპულარობა სურს; სავარაუდოდ, ის სასწაულის შემოსავლის წყაროდ გადაქცევაზე ფიქრობს. ბოლომდე მართალი რომ ვიყო საკუთარ თავთან, დავაზუსტებ – მღვდელი ხატზე წინაკას უსვამს, მაგრამ უშედეგოდ – ხატს მხოლოდ აცემინებს, ცოცხალი თავით არ ტირის! ალბათ, ღმერთმა ჩათვალა, რომ მთავარი სასწაულის ღირსნი ჩვენ ჯერ არ ვიყავით, თუმცა ცემინება კარგად იყო გამოხატული და ის ბევრმა შეამჩნია. დაცემინების შედეგად, ხატი ოდნავ შეხტებოდა ხოლმე, ერთი-ორჯერ იატაკ-

ზეც გადმოვარდა. ყოველივე ამასთან დაკავშირებით გამიჩნდა სავსებით დასაბუთებული ეჭვი: დიახ, ციალას ხატი, ბოლოს და ბოლოს, ატირდა, მართალი ქალიშვილი დღესაც ტირის, მაგრამ მე ეს მანც ნაწილობრივ ფალსიფიკაციად მიმაჩნია, რადგან სასწაულის მიზეზი წინაკა იყო, რაც ვერ ჩაითვლება სავსებით ლეგიტიმურ და მართალ საწყისად.

აქვე გულწრფელად ვაღიარებ, რომ ხატთან დაკავშირებული მოვლენები მოულოდნელად განვითარდა: მე და მამა კარპენტეროსი, მისი „ვოლგის“ „ხადავოიზე“ გადაწყობილი „მერსედესით“ სოფელ გრაკალის რწმუნებულთან, პარმენ გალდავასთან, ქორწილში ვიყავით; გვიან ღამით, სახლში რომ ვბრუნდებოდით, ეკლესიაში შევიარეთ, სადაც მამაოს „დიპლომატი“ დარჩენოდა; სასაფლაო გავიარეთ, ტაძრის კარს მივუახლოვდით და ორივე ადგილზე გავშეძით – ეკლესიიდან ჩუმი მელოდია ნარნარად მოედინებოდა! გავითიქრე: ვითომ ანგელოზები გალობენ? გამოცდილი მედავითნის ყურს ტექსტი ეუცხოვა – ეს არ იყო „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება...“, თუმცა ტონალობა და რეგისტრი აშკარად ემთხვეოდა. მე და მამა კარპენტეროსი მუხლებზე დავემხეთ და

ისე შევაღეთ ეკლესიის კარი. მადლის ნაკადი სახეში გვეცა, ღვთაებრივმა ხმამ ნეტარების შეგრძნებით აგვავსო და ლამის ზეცამდე აგვი-ტაცა – ციალას ხატი დაბალ ხმაზე გალობდა: „ავანტი პოპოლო, ალა რისკოსა, ბანდერა როსა, ბანდერა როსა...“.

ხატს კრძალვით ვემთხვიერ და ერთხანს მას-თან ერთად ვიგალობეთ. მამაოს კურთხევით, „ღვთისმშობლის დაუჯდომელი“ წავიკითხე და აუდგომლად, მუხლებზე ხოხვით ტაძრიდან გამოვედით. კარი გასაღებით ჩავკეტე. მელო-დია არ წყდებოდა – ხატი ტაძრის ბინდბუნდში მარტოდმარტო ანალოლიაზე იდო და კვლავ მირონით იღვენთებოდა – მართალი ციალა ჩვენს ცოდვებზე ამჯერად უკვე „ბანდერარო-სანარევი“ ცრემლით ტიროდა.

## ბრენდი

ხატის მეორედ გაცოცხლების ამბავი სასწაუ-ლებზე ყურდაცქვეტილ სრულიად ქართველო-ბას მოედო. ორპირის მიმართულებით კვლავ ხალხთა დიდი მასები დაიძრა. რაიონი და მისი შემოგარენი პილიგრიმებით აივსო. გარეთ ყვე-

ლა ჯიშის მტაცებელ ცხოველს შეხვდებოდი: ლომს, ვეფხვს, აფთარსა და ტურას, მგელსა თუ მელიას; ერთ ჩიხში თხრილთან მიწოლილი ნიანგების ჯგუფიც კი შევნიშნე; ბევრგან გველები იკლაკნებოდნენ. დიახ, ჯორდი, არ მოგესმა – ქუჩაში ათასობით სახიფათო არსება დაეხეტებოდა და დაძვრებოდა. გეფიცები, ასეთი არაფერი მინახავს, რამდენადაც უნდა გაგიკვირდეს, საფლავთან მიახლოებისას ადამიანები მხეცებად იქცეოდნენ. ზოგი ბრდლვინავდა, ზოგიც ღრიალებდა, ნაწილი სისინებდა, ადამიანები ერთმანეთს ყეფით მიმართავდნენ, ხოლო უცხოტომელს უღრენდნენ. ოღონდ ციალას საფლავთან მისულიყვნენ და ისინი არავის ინდობდნენ – ჭიდაობაში დავარდნილ მომლოცველებს ყურადღებასაც კი არ აქცევდნენ და გადავლისას ფეხს მოურიდებლად აბიჯებდნენ. ორპირი სამხეცედ გადაიქცა.

სასაფლაოს მისადგომებთან გამართულ შეტაკებებში მხოლოდ ძლიერი და მოხერხებული იმარჯვებდა. მომლოცველთა ნაწილს მშობლიური რაიონიდან რაგბისტების მოიერიშე ჯგუფიც ჰყავდა წამოყვანილი. გადამწყვეტი დარტყმის დროს უფრო გამთენისკენ ირჩევდნენ, როდესაც მეტოქის პრაიდი თუ ხროვა თვლემდა. ატეხილი აუიოტაჟი „ოღეინას“ ზეთის

ბიზნესზეც უმალ აისახა – ათასობით გამხე-  
ცებული ადამიანი რიგში ჩამდგარიყო, ზეთი  
რომ როგორმე ეყიდათ და წმინდა საფლავზე  
კურთხევის შემდეგ მაკურნებელი სუბსტანცია  
სახლში წაეღოთ. ორპირელი გარემოვაჭრეე-  
ბი ამბობდნენ, ზეთის რეალიზაციამ მიღიონ  
ბოთლს მიაღწიაო! ეს კი უკვე სოლიდურ თანხე-  
ბთან იყო და-კა-ვში-რე-ბუ-ლიი-ი...

ახლა გაცილებით მნიშვნელოვანზე! თუ ცია-  
ლას საფლავთან განვითარებულ პროცესებს  
კარგად დავუკვირდებით, ცხადი გახდება, რომ  
გააფთრებული მრევლის ცნობიერებაში უდი-  
დესი სარწმუნოებრივ-მარკეტინგული ერესი  
ითესებოდა! სიწმინდეების ბაზარზე ახალი  
ბრენდის გამოჩენამ ყოველივე თავდაყირა დაა-  
ყენა – საპატრიარქოს ავტორიტეტი და ძალაუ-  
ფლება, გავლენა და ფინანსები – ყოველივე ეს  
დიდი დარტყმის ქვეშ აღმოჩნდა. ჩემო „უსაში“  
დროზე გადახვენილო მეგობარო, ჯორდი,  
მკრეხელობის ცბიერება ისაა, რომ მიუხედა-  
ვად პატრიარქთან დაახლოებული მარკეტინ-  
გისა და პიარის სპეციალისტების ტიტანური  
ძალისხმევისა, საპატრიარქომ მაინც დაკარგა  
სიწმინდეების მენეჯმენტში წამყვანი როლი.  
მომლოცველობის კეთილშობილური განზრახ-  
ვის ნიღბით ეშმაკი სქიზმას თესავდა და „წმინდა

ცენტრი“ დედაქალაქიდან ორპირში, მართალი ციალას საფლავთან, ინაცვლებდა. ამ დიად კონკურენციაში მომხმარებლის არჩევანი აშკარად „მართალი ციალას“ ბრენდისკენ იხრებოდა. საფუძველი ეყრებოდა გაუგონარ მკრეხელობას – ბოროტის რევოლუციას ძლივს აწყობილი იერარქიული წესწყობილების წინააღმდეგ!

საპატრიარქოს გადაუდებელი ზომები უნდა მიეღო – სასწრაფოდ შესაცვლელი იყო „ნმინდა კომპანიის“ მენეჯმენტი და მარკეტინგი, ახალი ბრენდის დიზაინი და პრომოუშენი!

ორპირის რაიონს კვლავ მიტროპოლიტი ჯექსონ (გოროზია) ესტუმრა. კვლავ სამეუფეო ტრაპეზი და სასტუმრო „ზეციური იერუსალიმი“. დილის ლოცვის შემდეგ საიდუმლო კრება. დღის წესრიგი:

1. მამა კარპენტეროსის უკიდურესი დატუქსვა მარკეტინგულად და იერარქიულად სახიფათო აქცენტებით სიზმრების ნახვისთვის;
2. ბრძანებულების ტექსტი სამოქალაქო რეესტრსა თუ საეკლესიო ჩანაწერებში ციალას გვარგადაკეთებული ბაბუის გენეალოგიურ ჯაჭვში ყოველგვარი სომხური კვალის ამოშანთვის შესახებ;
3. მართალი ციალას ნეშტის საფლავიდან

- კვლავ აღმოყვანება და წმინდა ნაწილების თბილისში გადაბრძანების თეოლოგიური დასაბუთება; ჩამოყალიბებული არგუმენტაციის „ხალხურ ენაზე“ თარგმნა და მასებში მიცვალებულის გადასვენების „გაპრავება“;
4. პროექტის განხორციელების პრაქტიკული ღონისძიებების სია და სატვირთო „კამაზების“ მოძიება, ციალას საფლავიდან თბილისში მაკურნებელი მიწის გადასაზიდად;
  5. „წმინდა ცენტრის“ შელახული რეპუტაციის აღდგენის მიზნითა და საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით, მომავალი წმინდანის მენეჯმენტში შესაბამისი ცვლილებების შეტანა: ა) ციალას განდიდება ადგილობრივი მასშტაბის წმინდანობიდან სრულიად ივერიის დონემდე; ბ) საჯარო, ღია თეოლოგიური დისკუსიების გახსნა შემდეგ პირველხარისხოვან საკითხზე – რომელი წოდება უფრო შეეფერება ციალას იპოსტასს – „მართალი“, „ობიექტური“ თუ „მიუკერძოებელი“?

...ჯორდი, წინასწარ გატყობინებ, რომ ჩატარებული რეფერენდუმისა და ისტორიული ტრადიციების გათვალისწინებით, არჩევანი „მართალის“ წოდებაზე გაკეთდა. მიცვალებულის ცხედრის კათედრალურ ტაძარში გადასვენების

პროცესის დეტალებზე თხრობით თავს აღარ  
შეგანყენ და უშუალოდ საქმეზე გადავალ. მაშ  
ასე, ჩემი დაეჭვების საბაბი და ამასთან დაკა-  
ვშირებული სხვა გარემოებები თუ აზრები:

პირველ ყოვლისა, ამბივალენტურია ციალას  
უბინოების თემა. მე განა სექსის წინააღმდეგი  
ვარ, პირიქით, კოცნაობა ძალიანაც მიყვარს – ეს  
ვის, თუ არა შენ, კარგად მოგეხსენება, მაგრამ  
მე ფარისევლობა და მორალისტობა მძულს!  
აი, ამიტომ შევიკავე თავი ციალას გაწმინდანე-  
ბის პროცესში თუნდაც იოტისოდენა წვლილის  
შეტანისგან.

ორპირული წინაკის, ცემინებისა და ატი-  
რების ხელოვნურობაზე ზემოთ ვისაუბრე... ამ  
თეთრი ძაფით ნაკერი საქმის ფინანსურ სარ-  
ჩულზეც და „ოლეინას“ ბიზნესზეც... მოკლედ,  
ჯორდი, ბოლომდე გამოგიტყდები – ეკლესიი-  
დან წამოვედი, მამა კარპენტეროსისა და მეუ-  
ფე საბატეროს ლოკაციის ადგილები დავტოვე  
და ლვთაებრივი ინსპირაციისთვის თბილისში,  
დიდი დილმის გამოქვაბულში, უანაფორო ბერად  
დავეყუდე. მას შემდეგ ამ საქმეზე ვფიქრობ და  
ვერ გამირკვევია... შენ კი იმიტომ მოგმართავ,  
რომ „მართლებთან“ ყველა კომუნიკაციისა და  
ინტერაქციის რესურსი ამოვწურე. ეგებ ჩემს  
ცოდვილ სულს დაეხმარო და შენ მაინც გამცე

პასუხი, ამიხსნა კიდეც – ჩემს, ჩვენს თავს, რა ხდება?

## ფიქრები რელიგიისა და ლეროის დამთხვევაზე

ჯორდი, მე განა ღმერთის არ მნამს, უბრალოდ, ჩვენს ეპარქიაში დატრიალებული ამბების მაგალითზე, მსურს მივაკვლიო შემდეგა: სად, რომელ მხარეს არის სიმართლე, წესიერება, მორალი... ბოლომდე გულწრფელი ვიქნები – მინდა დავადგინო, რამდენად ემთხვევიან (თუ, პირიქით, განსხვავდებიან), ერთი მხრივ, ღმერთი და რწმენა, ხოლო, მეორე მხრივ, რელიგია. სიტყვა „რელიგიის“ ქვეშ ვგულისხმობ ადამიანის მიერ გადმოცემულ და დაწერილ სწავლებას ღმერთის შესახებ, სარწმუნოებრივ დოგმებს, რიტუალებსა და წეს-ჩვეულებებს. მაინტერესებს, რამდენად ასახავს ადამიანის ნააზრევი ღვთიურ განზრახვას, მის ჩანაფიქრს? ნუთუ უზენაესის შეცნობა იმდენად მარტივია, რომ მამა კარპენტეროსიც კი ღმერთზე, მის ნებაზე ისეთი აპლომბითა და თავდაჯერებულობით გვესაუბრება, თითქოს ხუთი წუთის გამოსული

იყოს წმინდა სამების თათბირიდან? აი, ეს მინდა გავარკვიო და მთელი დღეები განუწყვეტლივ მხოლოდ ამაზე ვფიქრობ... ამისკენ უკვე საკმაო ასაკი და სიკვდილზე ფიქრებიც მიბიძგებს.

იცი, ჯორდი, დარწმუნებული ვარ – ღმერთი არსებობს. ყველა ამ დასკვნამდე საკუთარი გზით მიდის... ან, პირიქით, უარყოფს ღვთიურ ჩანაფიქრს. „თომა აქვინელის არგუმენტები ღმერთის არსებობის სასარგებლოდ“ განსწავლულ თეოლოგებს დავუტოვოთ, ხოლო რიგითი ადამიანისთვის მის წინ გადაშლილი, მართლაც ყოველდღიური სასწაულებით აღსავსე სამყაროც კმარა. ნუთუ შეიძლება, მონახო ღმერთის არსებობის იმაზე უტყუარი მტკიცებულება, რომელსაც ბუნება გვაძლევს? მაგალითად, ის, რომ გახევებული, უფერული, პანაწინა თესლიდან იბადება უზარმაზარი, მწვანეფოთლებიანი ხე? ის ხომ არა მხოლოდ იზრდება, არამედ ზუსტად მიჰყვება მასში ვიღაცის მიერ ჩადებულ პროგრამას და სასწაულებრივად იმეორებს მხოლოდ თავისი სახეობის ათასწლოვან თვისებებს! რა უნდა იყოს იმაზე გასაკვირი, რომ მიწაში ჩაგდებული ლობიოს ერთი მარცვლიდან ამოდის ფოთლებიანი ღერო ყვავილით, რომელმაც ზუსტად იცის, რომ უნდა გამოიბას პარკი, მასში თითქოს უხილავი ხელით მწყობრად ჩაწიკწიკე-

ბული, მხოლოდ მისი ჯიშისთვის დამახასიათებელი ფორმის, ფერის, შემცველობისა და გემოს ლობიოს მარცვლებით?! ყველაზე გასაკვირი კი ისაა, თუ როგორ ზუსტად ხვდება ლობიო („ლობიოც“ კი!), რომ უნდა გამოისხას სპეციალური ხვიარა, რომელიც, თავის მხრივ, შემოეხვევა ხესა თუ სარს, რათა მცენარის წონამ წვრილი ღერო წელში არ გატეხოს და შემდეგ გააგრძელებს ზრდასა და ნაყოფის გამოღებას... გასაოცარია! ჩვენ ვისაუბრეთ მხოლოდ „შტერ“ ლობიოზე, არაფერს ვამბობ ადამიანზე, მის უდიდეს მიღწევებზე... მზეზე, მის ნათებასა და სითბოზე, სხვა პლანეტებზე, მათ ზუსტ კანონებს დამორჩილებულ მოძრაობაზე... ხოლო გალაქტიკის სიდიადის წარმოდგენაც კი, მისი მანძილები – მიღიონობით სინათლის წელი, ის, რომ კოსმოსში ჩვენ მხოლოდ ერთი მტვრის ნამცეცი ვართ მიღიარდობით ნატეხს შორის, მოკრძალებით მაღუმებს... ასე რომ, ჩვენი ადამიანური ცოდნა სამყაროზე და უზომო „შავ ხვრელებზე“ გალაქტიკის უსასრულობაში იკარგება... ვინ რა იცის ამ სამყაროს შესახებ?! რა თქმა უნდა, არავინ – არაფერი! ზოგიერთი მხოლოდ იჩემებს, რომ იცის...

და მაინც, ამ არგუმენტებში ყველაზე გასაოცარი და სარწმუნო ერთია! ყველა გამოცდი-

ლი, გონიერი და დაკვირვებული ადამიანი გადახედავს თავისი ცხოვრების დინებას და ადვილად აღმოაჩენს მასში მტკიცე განზრახვას – თითქოს ვიღაცის უხილავ ხელს მიჰყავდი წვრილ, ხიფათებითა და წინაღობებით სავსე ბილიკზე. თუ საკუთარ თავთან გულწრფელი იქნები, დაინახავ, რომ ცხოვრების განმავლობაში მრავალგზის განმეორებადი ციკლი – „განსაცდელი და შემდეგ მისი მორჩილად გადატანისთვის ჯილდო“ – ზუსტად საჭირო დროსა და საჭირო სახით მოგეცა. ამასთან, ამა თუ იმ ადამიანს ყოველივე ეს მკაცრად გამოზომილი დოზით ევლინება – გასაჭირიც იმხელა, რამდენის ატანასაც ის შეძლებს და სასიხარულო ამბავიც თუ წარმატებაც იმ ზომის, რამდენსაც უვნებლად შეირგებს. მოკლედ რომ ჩამოვაყალიბო: შენ ის ცხოვრება გაიარე, რომელიც შენ, შენივე სარგებლისთვის, უნდა გაგევლო და ეს აშკარად არ იყო მხოლოდ შენი არჩევანი; ჩემ მიერ „გათვლილი“ 100 ვარიანტიდან, რეალური ცხოვრება არა თუნდაც მე-100-ს, არამედ, მაგალითისთვის, ჩემთვის მანამ წარმოუდგენელ 278-ე ვარიანტს მთავაზობდა, იმ გზას, რომელიც ვიღაცის განზრახვით საჭირო იყო, მე გამევლო, რათა „ჭკუა მესწავლა“, დაშვებული შეცდომები აღარ გამემეორებინა, ერთი შეხედვით გამოუ-

ვალი ჩიხიდან გამოვსულიყავი და წარმატების-თვისაც მიმეღწია... ერთი სიტყვით, ჩვენს ცხოვრებისეულ გზას ადამიანისთვის მიუწვდომელი სიბრძნით ერთი „კანონმდებელი“ წარმართავს.

მოყვანილი მსჯელობიდან ღმერთის დანამდვილებით არსებობის შესახებ შეგვიძლია ორი დასკვნის გამოტანა:

1. „ის“ არ დაუშვებს „მის“ მიერ შექმნილი ყველაზე დიდი ფასეულობის – ადამიანის, როგორც ინდივიდის, გაქრობას;
2. „ის“ არ დაუშვებს სამართლიანობის პრინციპის დარღვევას – უსამართლობა და გასაჭირი, რომელიც ყოველდღიურ ყოფაში ადამიანს ღვთის დაშვებით ბედისწერამ არგუნა, გარდაცვალების შემდეგ, რაიმე გზით აუცილებლად უნდა ანაზღაურდეს.

ახლალა შევამჩნიე, ჯორდი, ძალიან გამიგრძელდა, გავერთე... იცი, ძმაო, ისე მომენატრე, ისეე, როო-ო... ერთი სიტყვით, მაპატიე.

დასასრულს გეტყვი მხოლოდ შემდეგს: ციალა იყო ყველასთან და ყველაფერში „მართალი“, ხოლო განსხვავებული აზრის გაგონებისას ან, ღმერთმა ნუ ქნას, შეკამათების შემთხვევაში, ის ხმას ყვირილამდე უწევდა და გარშემომყო-

ფნიც ჩუმდებოდნენ – ასეა, ნორმალური ადა-  
მიანები ჩხუბს ერიდებიან, რითაც, თავის მხრივ,  
„მართლობის“ უინით შეპყრობილი, გაამაყებუ-  
ლი ადამიანები სარგებლობენ და ძალადობრივი  
დიქტატის სფეროს აფართოებენ; ამას გარდა,  
ციალას ზურგს ხომ მასზე ოდნავ „ნაკლებად  
მართალი“, მაგრამ მაინც ყველაფერში „მარ-  
თალი“ მასები უმაგრებდა. მოურიდებლად რომ  
ვაღიაროთ, ინდივიდზე, მის თავისუფალ ნებაზე  
ციალა უმრავლესობის ტრაკით ძალადობდა.

მართალია, პოეტი გვასწავლის, შიში შეიქმს  
სიყვარულსაო, მაგრამ, ჯორდი, მე მაინც ჩემს  
აზრზე დავრჩები – შენი რომ ვინმეს ეშინია, სწო-  
რედ ესაა ყველაზე სამარცხვინო. შიშზე დაფუძ-  
ნებული სიყვარულის მე არ მწამს – ძალადობა  
ამაზრზენია, ხოლო სიძულვილის ენა და ყვირი-  
ლი – უღირსი, მდაბიო ადამიანების იარაღი. მე  
არ მჭირდება ამ ირალით მოპოვებული თუნდაც  
დიდი გამარჯვება. მოძალადე – კაციც სამარცხ-  
ვინოა და სახელმწიფოც.

ჯორდი, მომიკითხე ჩემი ყრმობისა და ახალ-  
გაზრდობის ოცნების ქვეყანა (ოხ, მოტყყდომა  
როგორ ვერ ვიშუსტრეეე!). ჩამიკოცნე ამერი-  
კელები.

...ჰო, არ გეწყინოს, ბრატ, ერთიც გამახ-  
სენდა! ბოლო კითხვა: ნუთუ ციალა, როგორც

ქვემოთ, ისე ზემოთაც არ მოისვენებს და გაა-  
გრძელებს სხვებზე უპირატესობისა და „მართ-  
ლობის“ მტკიცებას?

### პატორის P.S. და მენოს ეპითაფია

აი, რა წერია ჩემ მიერ საგულდაგულოდ გადა-  
ნახულ საიდუმლო მანუსკრიპტში, რომელშიც  
გენო ამჟამინდელ ქართულ ეკლესიაზე ფიქრებს  
გვიზიარებს და საფლავზე ამოსატვიფრ ეპიტა-  
ფიის ტექსტსაც გვიბარებს:

„სიურრეალისტი გენო: ეკლესიური „ქარხ-  
ნის“ შემონმების ოქმი

ყოველი ინსტიტუციის, დარგისა თუ წარ-  
მოების მუშაობის დონეზე გამოშვებული „პრო-  
დუქციის“ ხარისხი მეტყველებს. მაგალითად,  
ავტოქარხანა მაშინაა კარგი, თუ ის მაგარ  
ავტომობილებს უშვებს. წარმატებისთვის ქარ-  
ხანას სჭირდება სამი ძირითადი შემადგენელი:  
1. ძლიერი ხელმძღვანელი; 2. მაღალი ხარისხის  
დოქტრინა და ნახაზები; 3. მუყაითი მუშები.

ახლა გადავხედოთ ჩვენს ეკლესიას, რომლის

წიაღშიც გაერთიანებულია ერის დიდი უმრავლესობა... ამ ინსტიტუციას „დოქტრინა“ („ნახაზები“) თვით იესო ქრისტემ დაუტოვა, ხოლო სახელმძღვანელო „დოკუმენტის“ არსი იოანე მოციქულმა ჩამოაყალიბა: „ღმერთი სიყვარული არს“ (1 იოან. 4,8). შესაბამისად, ეკლესია უნდა „აწარმოებდეს“ სულიერად ჯანსაღ ადამიანებს, რომელთა ცხოვრების აზრს უნდა წარმოადგენდეს: თავმდაბლობა, განსხვავებული აზრისადმი შემწყნარებლობა, მოყვასისადმი თავდადებამდე მისული მსახურება და მტრის პატიებაც კი!

გავიხსენოთ საქართველოს უახლესი ისტორია... თუ დასაწყისში ჯერ კიდევ მისაღები იყო „პროდუქციის“ დიდ რაოდენობაზე (სამწყსო – იგივე ერი) აპელირება, დღეს ყველა ვხედავთ – რაოდენობა ხარისხში არ გადაიზარდა, ხოლო ძალადობა და სიძულვილი ნორმად იქცა. სახელმწიფო სამსახურში, ეკლესიაში, ოჯახ-სა თუ ქუჩაში ნაირ-ნაირი „ბლატნოები“ ბლავიან, ღრიალებენ და ბატონობენ. ქართველები ვიძირებით ბოლმასა თუ შურში, უვიცობასა და არაპროფესიონალიზმში, მცონარობასა თუ უქნარობაში.

მაშასადამე, სრულიად ლოგიკურია, „ქარხნის“ მუშაობის ხარისხი უარყოფითად შეფასდეს და ზემოთ მოყვანილი სამი შემადგენლის

ანალოგიით გამოვიტანოთ შემდეგი მარტივი დასკვნა: „ქარხნის“ (ინსტიტუციის) არც ხელ-მძღვანელობა ვარგა და არც მისი მუშების დიდი უმრავლესობა. მით უფრო, წამგებიან წარმოებას, რომელიც აწარმოებს „ბრაქს“, არ უნდა აფინანსებდეს სახელმწიფო. ესაა და ეს!..

## მენოს ეპითაფია

ჩემს საფლავზე მობრძანებულო ადამიანებო, მიუხედავად ათასი წყენისა და თქვენ მიერ ჩადენილი უამრავი გოთვერნობისა, მაინც, ჩემო საყვარელო დებო და ძმებო, მოგმართავთ მე – არაფრით გამორჩეული, რიგითი მოქალაქე სიურრეალისტი გენადი, რომელსაც ხშირად ერეოდა რამსები და ტვინში დაუდგენელი დეფექტის გამო ავიწყდებოდა თქვენი სახელები, რომელიც ვერ გახდა მართალი, სამაგიეროდ, ცდილობდა – ყოფილიყო ღმერთის მეგობარი: „ტოტალიტარულო დეიდებო, ბიძებო და მოხუცებულო ახალგაზრდებო; ხელოვანთა, მწერალთა, მომღერალთა, ტელეწამყვანთა და ჟურნალისტთა კასტებში გაერთიანებულებო და ერთმანეთის ქება-დიდებაში დამაშვრალ-

ნო; სიაბანდი ეროვნული ფასეულობებისთვის  
მებრძოლო რაინდებო და კდემამოსილო მან-  
დილოსნებო;

სხეულებო და პატიმრებო; მწეველებო, მორ-  
ფინისტებო და ალკაშებო; მხოლოდ ღირსეულო  
პოლიციელებო და გმირო ჯარიკაცებო; ექიმებო  
და, განსაკუთრებით, მომხიბვლელო მედდებო;  
ოჯახის წევრებო, შვილებო, შვილიშვილებო და  
შვილ (ქმარ-, ძმა-) მკვდარო დედებო; ძმაკაცე-  
ბო, დაქალებო და „ფეისბუკელო ფრენდებო“,  
– სრულიად საქართველოვ – საბჭოურო და,  
იმავდროულად, დემოკრატიულო, გაიღიმეთ,  
მეგობრებო, და მუდამ გახსოვდეთ გერმანე-  
ლი ფილოსოფოსის, იმანუილ კანტის, საფლა-  
ვის ქვაზე წარწერა: „მე მუდამ მაოცებდა ორი  
რამ – ვარსკვლავებით მოჭედილი ცა და მორა-  
ლური კანონი ჩემში“. თუნდაც ეცადეთ, იყოთ  
ამ მაგალითის ღირსნი – გამოიმუშავეთ უნა-  
რი, აღფრთოვანებული დუმილით უცქიროთ  
ვარსკვლავებით მოჭედილ ცას და ყველა ღონე  
იხმარეთ, რომ თქვენში არსებული მორალური  
კანონი თავისი სიკეთით, სამართლიანობითა  
და კეთილშობილებით ხანდახან, ოდნავ მაინც  
აკვირვებდეს სხვებს“.

## თავი 2

პოლიტიკაში საყოველთაო  
ჩართულობა, პოლიტიკანობა და  
საბჭოების ნოსტალგია



## **მომზადებელი მიერიცხვი**

(მოგზაური, მკვლევარი და ნატურალისტი  
გენო „ორპირელი“)

„მიქარიული სინამდვილე გაცილებით  
გასაოცარია, ვიდრე მდიდარი  
ფანტაზიის ნებისმიერი გამონაგონა“  
სიურრეალისტი გენადი

### **I. სახელმწიფო, სახელად მიერიცხვა – მეომრბაყიული ცნობები**

კარაველა „არგოთი“ გამთენისას დიდი დილ-  
მის ნავსადგურიდან ღია ზღვაში გავედით და  
ერთ კვირაში ქალაქ ქათქათას პორტში ღუზა  
ჩავუშვით. მოგზაურობის პერიპეტიების აღწე-  
რით თავს არ შეგანყენთ – დიდი არაფერი მომხ-  
დარა. მომავალი თაობებისა და ისტორიული  
უტყუარობისთვის კი მაინც დავძენ, რომ კაპი-  
ტან რობერტ ფიცროის შთამომავალმა და

პირდაპირმა მემკვიდრემ ბოსტონ გოგოხიამ ჩემდამი გასაოცარი სითბო და სტუმართმო-ყვარეობა გამოიჩინა. თუმცა გემით მგზავრობას ცუდად ვიტან (მაქანავებს და გული მერევა), ზღვის ხედის ერთფეროვნებაც მღლის, ამიტომ ის ერთი კვირა სულ კაიუტაში ვეგდე და მეძინა.

ქათქათას პორტში სულ ორკაციანი, მაგრამ საკმაოდ წარმომადგენლობითი დელეგაცია დამხვდა – ქალაქის მერი და მისი ერთგული მსახური – „უსახელო ქოლგამზიდი“, რომლის ფუნქციაც ქათქათას მცხოვარე მზისგან ან უუუნა წვიმისგან ხელმძღვანელი მუშაკის თავის ქალის ძვლების დაცვა იყო. თუ რატომ ვუწოდებ მერის ტანზე კისრის მეშვეობით მიმაგრებულ, მრგვალ წარმონაქმნს მხოლოდ თავის ქალის ძვლებს, შემდგომი თხრობიდან მიხვდებით...

ჰო, მოკლედ, ის იყო, მე და ქალაქის თავი ერთმანეთს გადავეხვიეთ, მის მობილურ ტელეფონზე ზარი აწკრიალდა. მერმა აპარატი ყურზე მიიდო და უპასუხა... უცებ ჩემმა თან-მხლებმა მუხლებზე დამხობა დაიწყო... უხერ-ხული პაუზის გადასაფარად ფშვიტინი დავიწყე. როგორც ჩამუხლულმა მერმა ქვემოდან ამომძახა, თურმე ერის სულიერი მამა რეკავდა. უცებ მივხვდი, სად ჩამოვედი და ყოველივე გასაგები გახდა.

პირსზე გავედით, ადგილობრივი დელიკატესი – ხაჭაპური ზედ დახლილი კვერცხით – მივირთვით და ყავა მივაყოლეთ. „ქოლგამზიდი“ ღობესთან, პაპანაქება სიცხეში მზეზე უდრეკად იდგა და მერის მსახურებიდან დროებით გათავისუფლებულ ქოლგას ცოცხალი თავით არ შლიდა. სავარაუდოდ, მასაც თავის ადგილას მხოლოდ თავის ქალის ძვლები ჰქონდა. დასასრულს, ავტომობილში ჩამსვეს და საღამოსკენ მიქარიას დედაქალაქში – აბერაცენში ამოვყავი თავი.

მაშ, რა სახელმწიფოა მიქარია და სად მდებარეობს ის? ეს გახლავთ აზიისა და ევროპის გზაგასაყარზე განლაგებული, ზომიერად მთა-გორიანი, საკმაო რაოდენობის მინდორ-ველითა და ერთი ზღვით ულამაზესი ქვეყანა, რომელიც დასახლებულია მიქარიელებით. თავად სიტყვა „მიქარიელი“ ორი ნაწილისგან შედგება – „მიქ“ – მოზეიმე იდიოტიზმის ქვეყანა და „არიელი“ – რაც მოქალაქეთა უმაღლესი, „არიული“ რასი-სადმი კუთვნილებაზე მიანიშნებს.

„ო, მიქარიავ, სამშობლოვ ჩემო სანატრელო!  
მიქარიელებო, ერო ჩემო საყვარელო“,

ასე უმღეროდა ალორძინების ეპოქის დიდი

პოეტი და ფილოსოფოსი, ვენეციაში გადახვეწილი ჯაკომო „დაუცხრომელი“ დე ალბა სანატრელ მამულს.

მიუხედავად იმისა, რომ მიქარია მდებარეობს კონტინენტზე და მისი ტერიტორია ესაზღვრება მეზობელ ქვეყნებს, ადგილობრივი გეოგრაფების კვლევებისა და მოქალაქეთა დაუინებული მოთხოვნის თანახმად, შიდა ჩათუშვის ტემპერატურის ანევის მიზნით, მიქარია გამოცხადებულ იქნა კუნძულოვან სახელმწიფოდ.

მოსახლეობასთან ურთიერთობისას ორი რამ გვხვდება თვალში: თითქმის უცნობთანაც კი ფამილარული ღლაბუცი დამღლელ მრავალ-სიტყვაობასთან ერთად და უკიდეგანო სიამაყე – სწორედ ეს ორი თავისებურება განასხვავებს მათ ყველა ერისგან.

შეიძლება ითქვას, მიქარიელები არ ჩუმდებიან და სულ ლაპარაკობენ. ყველა მხრიდან მოედინება არაფრისმთქმელი სიტყვების ნიაღვარი, გარშემო ისმის უამრავი შინაარსს მოკლებული სიტყვა. ბოროტი ენები ამბობდნენ, რომ ნაციონალური ლოგორეა და სახელმწიფოს დასახელება როგორლაც დაკავშირებულნი არიან ერთმანეთთან, რადგან სიტყვა „მიქარვა“ სწორედ უაზრო როშვას ნიშნავს. არაკეთილმოსურნეები იმასაც ამატებდნენ, რომ ეს აზრობრივი კავშირი

არ უნდა ყოფილიყო შემთხვევითი და ღვთის განგებით იქნა დაშვებული, თუმცა ისტორიული წყაროებითა თუ ძველთაძველი წმინდა გადმო-ცემებით ეს არ დასტურდება...

მიქარიას მოქალაქეები გამუდმებით მობი-ლურ ტელეფონებზე არიან ჩამოკიდებულნი. საუბრისას ისინი ინფორმაციის გადაცემა-მიღებასა თუ საქმის დეტალებზე შეთანხმებას, საუკეთესო შემთხვევაში, სულ ორ-სამ მოკლე წინადადებას უთმობენ და უცებვე გადადიან საუბრის ხელოვნურ გაჭიმვაზე: „ჰოდა, რა მინ-დოდა მეკითხა... ისა, რა ქვია იმას; დაა...; ჰოო...; თქვენკენ რა ხდება? ხომ მშვიდობაა? სხვა, რას შვები?.. ოჯახის წევრები მომიკითხე... ბავშვები ჩამიკოცნე და, ისა... დედა როგორაა?“. თუ მიქა-რიელს, ღმერთმა ნუ ქნას, მოსაუბრე არ ჰყავს, ის ტელევიზორს რთავს და მის შიშინში პოვე-ბს ნუგეშს. რა არის ხმაურისადმი ამ უცნაური ლტოლვის მიზეზი? სიჩუმეში ადამიანი ხომ თავისდაუნებურად ფიქრს იწყებს და საკუთარი თავისთვის შემაწუხებელი კითხვების დასმას... ამას კი ყველა მიქარიელი სათოფეზე გაურბის.

კიდევ რა? ჰო, ყველა ოჯახში, სადაც სტუმრად ვიყავი, მთავარ ოთახში („ზალა“) გამოსაჩენ ადგილას კიდია პორტრეტი, რომლი-დანაც ცინიკური ღიმილითა და ირიბი თვალე-

ბით მრისხანედ გიმზერს მათთვის სათაყვანებელი ბელადი – „ულვაშა“. როგორც დავადგინე, მან მიქარიის მეზობლად ააღორძინა უკიდეგანო, მეტად აგრესიული იმპერია, თავად კი ნახევარ საუკუნეზე დიდი ხნის წინ გარდაიცვალა. ამ იმპერიას დღესაც დაპყრობილი აქვს მიქარიის ტერიტორიები, მაგრამ მას მიქარიელები რატომდაც მაინც „ერთმორწმუნე ძმად“ მოიხსენიებენ. რატომ ეთაყვანებიან „ულვაშას“ მიქარიაში და რატომ უყვართ ის ასე სიგიურდე, მართალი გითხრათ, მიუხედავად მრავალი მცდელობისა, ვერ დავადგინე.

## II. მიმართის სულიერების ისთორია და „ყირამალას თეორია“

ახლა კი გადავალ მიქარიელების სიამაყისა და „არიულობის“, იგივე განსაკუთრებულობისა თუ სხვა ერებზე აღმატებულობის განცდის მიზეზებზე. დავიწყებ იმით, რომ განვმარტავ მათი ნოვატორული სახელმწიფო მოწყობისა და იდეოლოგიის არსს. მიქარიის ყოველდღიურობა სასწაულებრივად თავდაყირა დგას – აქ ყოველი ცნება თუ მორალური ნორმა წაღმა-უკულმა

იკითხება და სრულდება. მაგალითისთვის, მიქა-  
რიაში სისულელე სიბრძნედ მიაჩნიათ, ტყუილი  
– ჭეშმარიტებად, სიღატაკე – სიმდიდრედ და  
ა.შ. რა არის ამგვარი გადაყირავების მიზეზი?  
– აი, ეს კითხვა იყო უპირველესი, რომელიც  
მთელი თავისი შეუვალობით ჩემ წინაშე დად-  
გა. ვითომ აქაც ვერაგი მასონების სოციალური  
ექსპერიმენტი?..

ფაქტი ფაქტად რჩება – ამ გზით გახდა მიქა-  
რია მუდმივი ბედნიერებისა და სიხარულის სამ-  
შობლო. დღესაც მიქარიელები განუწყვეტელი  
გასაჭირის რეჟიმში არსებობენ, შიათ კიდეც და  
მაინც შრომით თავს არ იკლავენ; მეცნიერება,  
ხელოვნება და კულტურა დიდი ხნის მკვდარია...  
მიუხედავად ყველაფრისა, სწორედ ეს ზრდის  
მათ თვითშეფასებასა და თავდაჯერებულობას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ყირამალი-  
ზაციის“ ეს პროცესი, როგორც დავადგი-  
ნე, ერთბაშად არ განხორციელებულა და მას  
საუკუნეები დასჭირვებია. ამ პრობლემაზე  
ფიქრი ჯერ კიდევ ძველ მიქარიელებს დაუწყი-  
ათ...

უპირველესი ამოცანა ყოფილა უცხოტომელ-  
ზე წარმოსახვითი უპირატესობის მიღწევა. იმის-  
თვის, რომ მიქარიელებს „არიულობის“ განცდა  
ძვალსა და რბილში გასჯდომოდა, საჭირო იყო

მისი თეორიული დასაბუთება. საუკუნეების განმავლობაში „უძველესი გადმოცემების“ საფუძველზე, მიქარის ზედა ფენა – მმართველი ელიტა და რელიგიური ლიდერები – თხზავდნენ მითებს. წარმოებდა ისტორიის მუდმივი გადაკეთება, რათა სამარცხვინო მიეჩქმალათ, ხოლო გმირული დარჩენილიყო და ზღაპრულად გაზვიადებულიყო. შემდეგ ხორციელდებოდა ამგვარად შელამაზებული წარსული დიდების მასებში დანერგვა. ასე თანდათან შეიქმნა ეს მონაგონი, მიქარიელების ყოველდღიური ყოფის ნაწილი – წარმოსახვითი უპირატესობის განცდამ გენეტიკური ხასიათიც კი შეიძინა.

ასე აშენდა მიქარიელების ეროვნული სიამაყის მთავარი საყრდენი – „ჩვენ, მიქარიელები, დედამიწის ზურგზე ყველაზე დიდი ისტორიისა და მართალი სარწმუნოების ერი ვართ!“. მისგან გამოიჩეკა შვილობილი მითები: „მიქარია ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა“, „მეორედ მოსვლის ჟამს ღმერთი მიქარიულად იქადაგებს“, „მაცხოვრის საფლავზე ცეცხლი მხოლოდ მიქარიელების ხელში გადმოდის“ და მრავალი სხვა...

ახლა კი დადგა დრო, მოვიყვანო ძველი შუმერების ანბანური ჭეშმარიტება: საკუთარ უპირატესობაში დარწმუნებიდან ტაშ-ფანდურამდე,

სულ ერთი ნაბიჯიღააო. ასე აღმოჩნდა მიქა-რიელების მთავარ საქმედ სიმღერა, ცეკვა და ქეიფი, კაი წამოწოლა და მოვალეობებისა თუ პასუხისმგებლობის დაკიდება. გართობის დაუ-ცხრომელ სურვილთან ერთად, მოსახლეობაში მუყაითი და წარმატებული ადამიანებისადმი თუ ერებისადმი თანდათან გავრცელდა შური და ბოლმა.

შეგახსენებთ, მიქარიაში ხომ ყოველივე პირიქით აღიქმებოდა, ამიტომაც შური სიკეთის მაჩვენებელი იყო, ხოლო უვიცობა – განათლებულობის. მოკლედ, ასე იყო თუ ისე, ეროვნული ელიტის ძველისძველი ღვაწლის შედეგად, ჩამოყალიბდა მიქარიის ნაციონალური სიამაყის ტრიადა, რომელიც დღესაც ამშვენებს მის სახელმწიფო გერბს: „უვიცობა, სიზარმაცე და შური“. ბარემ აქვე ეროვნული ჰიმნის დასახელებასაც და, იმავდროულად, მისამღერსაც გაგაცნობთ: „მიქარია გაბრწყინდება, ხოლო ინგლისი დაიძირება“ (ავტორი – ბეტანკურ „ჩლახობოყვათელი“).

ამ ყირამალა სახელმწიფოში ფულის გაუფასურება მის ჯანსაღად ქცევაზე მიანიშნებდა, ხოლო ხაზინის ქურდი თუ მღიქვნელი გამოცხადებული იყო წესიერების ეტალონად. „ყირმალიაში“, როგორც მიქარიას ძველბერძნულ

წყაროებში მოხსენიებდნენ, რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, კეთილმოსურნე ერები სძულდათ, მათ მასონებსა და სულიერების ქურდებს ეძახდნენ, ხოლო მტერი და დამპყრობელი უყვარდათ. როგორც ზემოთ აღვნიშნე, განსაკუთრებით დნებოდნენ და გული უჩუყდებოდათ მეზობელ „ერთმორწმუნე ძმაზე“, რადგან სწორედ ის ჩაგრავდა ყველაზე დახვეწილად და ვერაგულად.

... მე კი გამჩენი არ მასვენებდა და საკუთარ თავს მუდამ ვეკითხებოდი: მაინც როგორ მოხერხდა ამ ამოტრიალებული სამყაროს შექმნა?

დავიწყე უძველესი მანუსკრიპტების მოძიება და შესწავლა. წყაროებიდან ირკვეოდა, რომ ყოველივე სიტყვებთან ბრძოლით დაწყებულა. ძველი ისტორიკოსი ხატოვნად წერდა: „...და იქმნა მიქარიასა შინა ცალკეული სიტყვების კვერცხის გულით ხაჭაპურზე დაწერა და შემდეგ ამ სიტყვების ჭყინტ ყველთან ერთად ჭამაო...“. შედეგად, მიქარია მკვდარი, გამოშიგნული სიტყვების სასაფლაოდ გადაიქცა. პროცესი ასე ვითარდებოდა: მიქარიის ელიტას სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობა სრულ აბსურდამდე დაჰყავდა; დროთა განმავლობაში მოკვდა ამ სიტყვებთან დაკავშირებული ცოცხალი ემო-

ციაც და სიტყვების ჭეშმარიტი მნიშვნელობაც ყველას მიავინყდა; ბოლოს, მაგალითისთვის, სიტყვა პატრიოტიზმისგან მიიღეს – ბატონი თუ პარტიული ბოსი, განათლებულიდან – თავ-დაჯერებული უწიგნური, ხოლო პოეტიდან – ბელადის მეხოტბე. ყველაზე გასაოცარი კი ორი სიტყვის – სამართლიანობისა და ლირსების მნიშვნელობის შეცვლა იყო. ამ ცნებებმა მრავალი ტანჯვა-უაზროდ ხმარება-გარდაქმნის შემდეგ, მხოლოდ მიქარიელებისთვის გასაგები, „მეობისა და გაგების“ მნიშვნელობა შეიძინეს.

წამოწოლა და წარსულის ქება-დიდება, გაუთავებელ ქეიფთან ერთად, მიქარიელების ცხოვრების წესად გადაიქცა. მანამ კი სახელმწიფო კუნძულად გამოცხადდა და მის საზღვრებზე მიქარიელების ცნობიერებაში წარმოქმნილი „რკინის ფარდაც“ დაეშვა. მართალია, პერიოდულად, ცნობა რომელიმე სახელმწიფოს წარმატებასა და მასში ხალხის კეთილდღეობის შესახებ „რკინის ფარდაშიც“ გამოჟონავდა ხოლმე, მაგრამ ამ შემთხვევაში მიქარიელები მწყობრი ნაბიჯით „აკლდამებისკენ“ მიაბიჯებდნენ და იქ ისმენდნენ სულიერი მამების მანუგეშებელ ქადაგებას ერის ეჭვშეუტანელ გენეტიკურ უპირატესობაზე ყველა დანარჩენ ხალხებზე. მეორე დღეს კი ყველა გაზეთში იბეჭდებოდა

მთავარ აკლდამაში უკვე ერის სულიერი ლიდერის მიერ ნაქადაგები „ყირამალა ეპისტოლე“. მისი შინაარსი მასების ფართო განსჯის საგნად იქცეოდა. ამ წერილების არსი კი ის გახლდათ, რომ ამქვეყნიერი ცხოვრება ფუჭი იყო და, რაც უფრო გასაჭირსა თუ სილარიბეში გაატარებდი მას, ერთი მხრივ, მით უფრო იმატებდა შენი სულიერება და, შესაბამისად, შენ მსოფლიოში ყველაზე მაგარი ხდებოდი, ხოლო, მეორე მხრივ, დიდად იზრდებოდა შენი ზეციური საზღაურიც. ამასთან ერთად, ყველა წარმატებული ქვეყანა თუ ერი მტრად ცხადდებოდა, ხოლო მისი მთავრობა – მასონებად, რადგან ისინი შურით აღვსილნი ცდილობდნენ, მიქარიელებისთვის სულიერება წაერთმიათ.

აკლდამებით მოფენილი იყო მთელი მიქარია, პატარა ჩიხშიც კი ერთი ქადაგებისთვის განკუთვნილი შენობა იდგა, სადაც მთავარი მქადაგებლის – „უსაკალელესის“ სულიერი შვილები ხალხს ასწავლიდნენ, თუ როგორ უნდა შეეზიზდებინათ სხვა ერის წარმომადგენელი თუ მიქარიელებისგან ოდნავ განსხვავებული.

ჯერ კიდევ „ულვაშას“ ხანაში, ყველაზე საშინელ ხელსაწყოდ თურმე სარკე იქნა გამოცხადებული. დიდ ბელადს შემოუტანია წინადადება, ყველა სარკე დაემსხვრიათ. მოსახლეობამაც

ენთუზიაზმით აიტაცა ეს წამოწყება და სარკეების მსხვრევას დიდი მონდომებით შეუდგა. დაიწყო „ანტისარკის“ დიადი კამპანია. ვინც სარკეს სახალხოდ არ დაამსხვრევდა, ხალხის მტრად ცხადდებოდა და მას აპატიმრებდნენ. ერთი-ორი მეპროტესტე („სარკის ქომაგები“) თურმე მაინც შემორჩენილა და ღრმა იატაკევე-შეთში გადასულა. მაგრამ აბა ერთი-ორი, ისიც შეშლილად გამოცხადებული მარგინალი, ამხელა მასის წინაშე, რას გახდებოდა? მათ მიქარიაში თურმე ყველა დასცინოდა და ქვებსაც ესროდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ დროთა განმავლობაში მეპროტესტები საზოგადოების აზრის ფორმირებიდან საბოლოოდ გარიყეს და ამიტომ ისინი საფრთხეს აღარ წარმოადგენდნენ. რამდენიმე „პროტესტანტი“ მთებში, გამოქვაბულში დასახლებულა, სადაც მათ ყურადღებასაც არავინ აქცევდა.

სულ ბოლოს, როდესაც ყველა განსხვავებული აზრის ადამიანი გაანეიტრალეს, ხოლო ერი და ქვეყანა გამჭოლმა სულიერებამ მოიცვა, „უსაკალელესმა“ ჩამოწერა ათი ახალი მცნება:

## უსაკალელესის ათი მცნობა:

- I მე ვარ უსაკალელესი და უერთადერთესი, ყველამ თითო გულით დამილაიქეთ და არა იყვნენ შენდა ღმერთნი უცხონი, ჩემსა გარე-შე.
- II კერპი შენი ჰქმენ „ერთმორწუნე ძმისგან“ და „ულვაშასგან“, აგრეთვე კერპნი შენნი არს მამონა, მამაო და თავი შენი: თაყუანი-ეც მათ და მსახურებდე მათ.
- III თვალებმინაბული დღენიადაგ იძახოდე: „უფალხო, უფალხო, შემიწყალე“ – და აქებ-დე „უსაკალელესსა“ და მამაოსა.
- IV მოიხსენე დღე იგი შაბათ-კვირა და გაუთა-ვებელი დღესასწაულნი, და წმიდა-ჰყავ ისი-ნი: ექვსი დღე მცონარებასა შინა არაფერს იქმოდე, სცოდავდე, ხოლო შაბათ-კვირას მოინანიე, გადაიხადე და არხეინად გააგრ-ძელე ცხოვრება.
- V მამამან და დედამან შენმან მინიმუმ 40 წლა-მდე შეგინახოს, „ჩემი დედათი“ და „ბოიშვი-ლივიყოთი“ მოიხსენიებდე მათ.
- VI მექრთამეებსა, ხაზინისა თუ „კანონიერ“ ქურდებსა პატივს მიაგებდე – „ფულს სუნი არ უდის“.
- VII არა იმრუშო ცოლთან, მხოლოდისა საყვარელ-

თან ან პუტანებთან, ხოლო ცოლი იგი არს ფეხბანისა და მორჩილებისთვის.

- VIII მოპარე სახელმწიფოსა და გაღატაკებულ ხალხსა, აიღე ქრთამი – „ოჯახი შენი ხრამი არს“.
- IX მთელი დღე იჭორავე მოყუასსა შენსა ზედა წამებითა ცრუითა და მოიძულე უცხო და განსხვავებული.
- X გული გითქუმიდეს ცოლისათვის მოყუასისა შენისა, გული გითქუმიდეს სახლისათვის მოყუასისა შენისა, ყანისა მისისა, მანქანისა მისისა, ყოვლისა საცხოვარისა მისისა, ყოვლისა მისთვის, რაიცა იყოს მოყუასისა შენისა – „შურია – პური ჩვენი არსობისა“.

...ასე თანდათან ჩამოყალიბდა მიქარია მუდ-მივი კაიფისა და ღიპების ფხანის სამყაროდ, ასე აგურ-აგურ აშენდა გამარჯვებული იდიო-ტიზმის ქვეყანა, სადაც ჩვენი გაგებით ჭკვიანი – ბრიყვია, ხოლო უვიცი – განათლებული. მიქარიელებმა უმაღლეს მწვერვალს მიაღწიეს გულმავიწყობაშიც, რაც გამოიხატა ნამდვი-ლი ისტორიის სრულ დავიწყებასა და ამა თუ იმ პოლიტიკური ლიდერის წარსულის მიმართ აბსოლუტურ ამნეზიაში. ამისთვის მხოლოდ მორიგი ბელადისა ან „უსაკალელესის“ გაკვრით

ნათქვამი სულ ერთი-ორი სიტყვა ხდება საკმარისი და გუშინდელი ქურდი ან მოღალატე დღეს ვაჟკაცად, პატრიოტად და ერის რჩეულად იქცევა. ამ საყოველთაო გულმავიწყობის ეპიდემიას კი ისევ და ისევ ყველაფრის პირიქით, შეტრიალებულად აღქმა უდევს საფუძვლად. მიქარიაში ხომ უსინდისობა წესიერებად არის მიჩნეული...

დროთა განმავლობაში, ყველა მიქარიელი, განურჩევლად სქესისა და ასაკისა, თავფეხიანად რელიგიასა და პოლიტიკაში გადაეშვა. ერს რომ საჭირბოროტო საკითხებზე არ ეფიქრა, ხალხი ორ მტრულ ბანაკად დაიყო – უმრავლესობად და უმცირესობად. მათ შორის არაფერი იყო საერთო – სრული გაუცხოება და აუტანლობა სუფევდა. ბარიერის ორივე მხარეს ჩირქივით ჩაგუბებული ზიზღი ბატონობდა. სწორედ ამის გამო იყვნენ მიქარიელები ასე გატაცებულნი რელიგიითა და პოლიტიკით – ამ სფეროებში სიძულვილის გადატანისა და ფიზიკური დაპირისპირების ადვილი შესაძლებლობით. მიქარიელებს ხომ არა ღმერთი, არამედ სხვაზე უპირატესობა სწყუროდა.

...ჩემი „მიქარიული არდადეგები“ გრძელდებოდა. კვლავ მიქარიის დედაქალაქის ცენტრალურ სასტუმროში – „ამბივალენტაინში“ ღამეებს ვათენებდი – ხან ჩემს ახალ შეყვარე-

ბულს, სასტუმროს მენეჯერს ბუჩიტას ვეფე-რებოდი, ხანაც ფიქრები არ მასვენებდა – მე უცხოპლანეტელებისა და მასონების ხრიკების ვერსიებს შორის ვყოყმანობდი, ძილი დავკარგე... როგორც გაირკვა, ორივე ეს ვერსია ბრი-ყვების გამონაგონი ჭორი ყოფილა...

კვლევების ინტენსივობა გავზიარდე და მიქარიის თავდაყირა მდგომარეობის საკი-თხის შესწავლას მეტად ჩავულრმავდი. ის იყო უცხოპლანეტელების ვერსიისკენ გადავიხა-რე, რომ ერთი მეტად ყურადსალები, როგორც შემდეგ გაირკვა – „ყირამალას თეორიის“ წარ-მოშობის საიდუმლოს გახსნისთვის საკვანძო პაპირუსი აღმოვაჩინე. უძველესი ხელნაწერი ტექსტი ინახებოდა ქალაქ ორპირის რაიონულ ბიბლიოთეკაში, უფრო ზუსტად კი ამ ბიბლიო-თეკის სოფელ გრაკალის ფილიალში. სწორედ იქ ბუჯურისას წავანეყდი უძველეს პაპირუსს, რომელიც მტვრიან თაროზე უშფოთველად განისვენებდა...

მაშ ასე, მე პაპირუსი ხელში ჩვილი ბავშვი-ვით ფრთხილად ავიღე. გამხმარი ხელნაწერი ლამის ხელში შემომეფხვნა... ის წითელი ლენ-ტით იყო გადახვეული. კვანძი გავხსენი და, აი, უკვე ლენტზე წარწერას კვითხულობ: „გენო, მე, „სევასტის პაპირუსი“, საუკუნეებია მხოლოდ

შენ გელოდები და მხოლოდ შენ ერთს მოგეცე-  
მი!“... ულამაზესი ქალიშვილივით ვეცი და გავ-  
შალე ის... აი, რა ღრმა განცდებითა და დიდი  
ტრაგიზმით აღსავსე ისტორია წარმომიდგა  
თვალწინ:

მეფე მიქოს I „მწუხარეს“ ეპოქა... ხელე-  
ბი მიცახცახებდა, სხეული თრთოდა, გული  
საგულეს არ ეტეოდა – მივხვდი, რომ „ყირამა-  
ლას“ ისტორიის საწყისებს, ალფასა და ბეტას  
მივაკვლიე!

მეფე მიქოს I-მა 60-ათასიანი ჯარით, ნახე-  
ვარ მილიონ ურჯულოს მუსრი გაავლო, აილო  
მიქარიის დედაქალაქი აბერაცენი და ზარ-  
ზეიმით შევიდა ქალაქში. მიუხედავად ესოდენ  
დიადი გამარჯვებისა, სახელმწიფოში მალევე  
ყველაფერი მოიშალა და აღმშენებლობის საქმე  
დამუხრუჭდა – ქვეყანა გაბანძებისკენ მიექა-  
ნებოდა... განსაკუთრებით უკმაყოფილო იყო  
ხალხი. მიზეზი ამ უკმაყოფილებისა კი მასების  
უკიდეგანო ამპარტავნებაში იდო. მასებს მსო-  
ფლიონში ყველასა და ყველაფერში აღმატებუ-  
ლობა სწყუროდა. ერს მთელ მსოფლიოზე უპი-  
რატესობით აბოდებდა – ეს კი მეტად გაჭირდა.  
თავიდან შეჯიბრი მეზობელ სახელმწიფოსთან,  
კიდობანიასთან წარიმართა. მაგრამ კიდობანიის  
მკვიდრნი მიქარიელებს ვაჭრობასა და საქმიან

თვისებებში აშკარად სჯაბნიდნენ. მიქარიელები, საქმის კეთებაზე რომ არაფერი ვთქვათ, ვაჭრობასაც თაკილობდნენ – ისინი ხომ მთლიანად ქეიფსა და ცეკვა-თამაშს იყვნენ მიცემულნი. მიქარიელებს მაგრად დაევასათ განცხომა და სუფრაზე ერთმანეთის ქება- დიდება, არც მამრების ზასაობა იყო ურიგო. სუფრაზე შენდებოდა ქვეყანა და იქმებოდა გოჭი. მიქარიელებს ვალები დაედოთ და ქეიფის გასაგრძელებლად ფული რომ ეშოვათ, იძულებულნი გახდნენ, კიდობანიელებისთვის მამულები მიეყიდათ. საქმე იქამდე მივიდა, რომ კიდობანიელებმა დაიკავეს მიქარიაში წამყვანი პოსტები და, პრაქტიკულად, ისინი მართავდნენ კიდეც მიქარიას. დედაქალაქის მმართველი უკვე ზედიზედ მეათედ, პირდაპირი პროპორციული არჩევნების გზით, კიდობანიელი ხდებოდა.

მეფემ და ხალხმა უმწეობისგან ხელები დაუშვეს და ყურები ჩამოყარეს. ასეთი გასაჭირის ჟამს ღმერთი რჩეულ ერს, ჩვეულებისამებრ, წინასწარმეტყველსა და მხსნელს უგზავნის... და, აი, მიქარიაშიც გამოჩნდა ერთი ნახევრადგიუ და სალოსი გრაკალელი ჯვარსტიკა. როგორც პაპირუსიდან ირკვეოდა, სწორედ ჯვარსტიკას წამოუყენებია წინადადება ყველაფრის თავდაყირა დაყენებისა და „ანტი-ინტერპრეტაციის

პრინციპის “შემოღების შესახებ. საბოლოოდ, წინასწარმეტყველის სწავლებას – „ყირამალას თეორია“ ეწოდა. ჯვარსტიკას წინადადების არსი შემდეგში მდგომარეობდა: რადგან მიქარიელები პირველობაში შეჯიბრს აგებთ, მოდი, უკანასკნელობაში შეეჯიბრეთ დანარჩენ მსოფლიოს და ამ გზით მაინც მოიპოვებთ გამარჯვებას! ხალხთა მასებიც გაიხარებს და თქვენც გეშველებათო...

ჯვარსტიკას წინადადებამ აღაფრთოვანა მიქარიელები – მათ ხომ არც შრომა უნდოდათ და არც სწავლა, ხოლო ვაჭრობასა და ფულის თვლას ხომ, საერთოდ, სამარცხვინო საქმედ მიიჩნევდნენ. მოკლედ, გრაკალელი ჯვარსტიკას „ანტი-სისტემა“ დიდი ენთუზიაზმით აიტაცეს და საბოლოოდ გაიხარეს კიდეც! აღარც შრომა იყო საჭირო, არც ფიქრი და აზროვნება, სწავლა-განათლებაზე ხომ საუბარიც ზედმეტია! მთავარი ის იყო, რომ მიქარიელები, მიუხედავად ყველაფრისა, უპირობო პირველობას ინარჩუნებდნენ მსოფლიო ხალხთა წინაშე! ასე ჩამოყალიბდა მიქარიელების ეროვნული ხასიათიც – სიამაყეზე დაფუძნებული ყოვლისმცოდნეობა და მისგან გამომდინარე მცონარება, განცხრომა და უვიცობა. შემდეგ მიქარიელებმა დაინახეს, რომ სხვა ერები მათზე მდიდრულად ცხოვრო-

ბენ და მეტ წარმატებასაც აღწევენ. შედეგად, ჩამოთვლილ თვისებებს ამ ერებზე ბოლმა და შურიც დაემატა. არიან ასე დღემდე – მხარ-თებოზე წამოწოლილნი, მუცლის გასკდომამდე ქეიფობენ და მუდამ ვიღაცას აგინებენ...

### III. მისამართის დღეს

დიალოგი მიქარიის ტრანსპორტში:

ერთი: ...და ხალხი არაა ცოდო?

მეორე: რა ხალხი, რის ხალხი – შენ რა, სოცია-ლისტი ხარ?!

მიდიოდა ასე მიქარიელების ცხოვრება, მიედი-ნებოდა მდორედ და უდარდელად, მშვიდად და აულელვებლად... ბოლოს კი სრული უძრაობის „ოქროს ხანაც“ დადგა... ათასწლოვანია ეს ხანაო – ბელადმა და უსაკალელესმა გამოაცხადეს, მინიმუმ „100/100“ ალბათობით და ხანგრძლი-ვობითო... თუმცა აქაც არ დუმდა ის ერთი-ორი მეპროტესტე. ერთ-ერთმა ტოტალიტარული სახელმწიფოების განვითარების ციკლებიც კი ჩამოაყალიბა: 1. დიქტატურა, რომელიც პირვე-ლი „მამა-ბელადის“ სიკვდილთან ერთად სრულ-

დება; 2. შემდეგ მოდის „დათბობა“ და დემოკრატიის კენიან გადახრის პერიოდი; 3. მას მოსდევს უძრაობის ხანა, რომელიც გარდაქმნების (4) ხანმოკლე პერიოდით სრულდება; 5. რადგან ეს გარდაქმნები არ არის ძირეული, მათ შედეგად ქაოსი, სამოქალაქო ომი და რევოლუცია (5) მოჰყვება; 6. რევოლუციის შედეგად, კვლავ ზედაპირზე ნაგვის ამოტივტივების პერიოდი დგება; 7. ხალხთა მასები უკმაყოფილონი არიან რევოლუციის შედეგებით, რასაც, თავის მხრივ, სისხლიანი ტერორი და დიქტატურის დამყარება მოსდევს – ასე სრულდება მორიგი იმპერიული ციკლი...

ამ თეორიის თანახმად, მიქარიაში ავისმომასწავებელი წინასწარმეტყველებაც გაისმა, რომლის მიხედვითაც, უძრაობის ხანას აუცილებლად ნგრევა და რევოლუცია უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ, აპა, ერთ-ორ მანანნალა, მარგინალ მეპროტესტეს ვინ მოუსმენდა? ცხადია, ყველა აღტაცებული იყო ბელადის 100/100-ის ალბათობა-ხანგრძლივობის სქემითა და უსაკალელესის „ათასწლოვანი გუგუნის“ შესახებ ქადაგებით.

დღევანდელი მიქარიელები ყველაზე დიდ პატივს ხაზინის ქურდებსა და მექრთამეებს მიაგებენ. თანამდებობების დანაწილებაც ნათესაუ-

რი ნიშნით ხდება – ვინც ახლო ნათესავს უფრო წინ წასწევს თანამდებობრივ საფეხურზე, სწორედ ის ითვლება უფრო პატივსაცემ ადამიანად მიქარიის საზოგადოებაში. ვინც უფრო ბევრ პრემიასა თუ სახელფასო დანამატს გამოიწერს, მას აღიარებენ მიქარიელები ყველაზე ჭკვიანად და მოხერხებულად. ასევეა საქმე ხელოვნებაშიც – აქაც ხარისხსა თუ კონკურსში გამარჯვებას ნათესაურ-კლანური კავშირები განსაზღვრავს.

„ყირამალას პრინციპით“ დიდი წარმატებებია სპორტშიც. საქმე აბსურდამდეც კი მივიდა, რადგან სირბილში ის ცხადდებოდა გამარჯვებულად, ვინც ბოლო ადგილზე გადიოდა. თანდათან ყველა სპორტსმენმა მოუნელა სირბილის ტემპს, ხოლო უკანასკნელ შეჯიბრზე, რომელიც ძველი წესებით გაიმართა, ფინალის ყველა მონაწილე ქვის ქანდაკებასავით სტარტის ხაზზე დაერჭო... ამის გამო სირბილი, როგორც სპორტის სახეობა, მიქარიაში აიკრძალა.

მთავარ სპორტად დადგინდა ფეხბურთი. ოლონდ ეს თამაშიც მიქარიული წესებით მიმდინარეობდა – ვინც უფრო მეტ გოლს გაიტანდა საკუთარ კარში, ის იყო გამარჯვებული. მიქარიის ეროვნული ნაკრების ერთმა ფეხბურთელმა ისიც მოახერხა, რომ სულ ერთ ტაიმში საკუთარ კარში ორი გოლიც კი გაიტანა! რეკორ-

დი იმდენად გამაოგნებელი შეიქნა, რომ ეს ფეხბურთელი მიქარის პრემიერ-მინისტრადაც კი დააწინაურეს. დღესაც ქვეყნის ნაკრებისთვის წარმატებად ის ითვლება, თუ გუნდი სუსტ მეტოქესთან დიდი ანგარიშით წაგებას მოახერხებს. ერთადერთ სპორტულ თამაშს, რომელიც საერთაშორისო ნორმებსა და წესებს ექვემდებარება, წარმოადგენს ჭიდაობისა და ხელჩართული ჩსუბის ნაზავი თამაში ბურთით, რომელიც ქვეყნის სავიზიტო ბარათად და ყველაზე დიდ ეროვნულ ფასეულობად გამოცხადდა. ამგვარი გამონაკლისი, ბელადის კურთხევით, საერთაშორისო არენაზე მიქარის წარმატებულ სახელმწიფოდ წარმოსაჩენად დაუშვეს. შინ ვარჯიშისას კი მოთამაშებს მოგრძო ბურთი მაინც საკუთარ კარში შეაქვთ...

#### IV. ბელადი

მიქარის ამჟამინდელი ბელადი მუდამ ხალხზე ზრუნვასა და ფიქრში ატარებს დღეებს... ამიტომ მან გადაწყვიტა, სამუდამოდ დარჩეს ბელადად, რადგან მისივე შეხედულებით, ის ხალხს საკუთარ თავზე მეტად უყვარს. მან

აიღო და ჩამოაყალიბა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მეტად გააზრებული სქემა: „პირ-ველი წელიწადი იქნება რთული, მეორე წელი იქნება საგრძნობლად უკეთესი. მესამე წელს უკეთესობას მოსახლეობის უდიდესი ნაწილი საკუთარ თავსა და საკუთარ ჯიბეზე იგრძნობს. მეოთხე წელიწადი იქნება ძალიან კარგი და მეხუთე წელს ატყდება გუგუნი!“, – გამოსვლის დასასრულს კი, ყველა რომ თავის ურყევ ნებაში დაერწმუნებინა, ბელადმა დაამატა: „მასშტაბები ჩემი ადრეც დიდი იყო, ხოლო ამჟამად, თქვენი ხათრით, კიდევ უფრო დიდი გახდა! მომავალში დარწმუნდებით, ვისაც რწმუნებულება გაკლიათ, რადგან მე მოვდივარ ასწლიან, ანუ სამუდამო ციკლში!“. ასე დადგინდა ქვეყნისა და ერის მთავარ პროგრამად ე.ნ. „100/100“-ის ალბათობა-ხანგრძლივობის გეგმა.

ერთი ფრანგი სალოსი და ჩემი ძველი მეგობარი მიშიკო ფუკო ძალაუფლებას, როგორც დეცენტრალიზებულ ძალას, ისე განიხილავს, რომელიც ქვემოდან ზემოთ ვრცელდება და არა პირიქით, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. ხალხი შობს ბელადს, რომელიც აცხადებს, რომ მან სხვებზე უკეთ იცის, როგორ მართოს სახელმწიფო და მასებიც ამას დიდი ენთუზიაზმით იჯერებენ. შეიძლება ითქვას, მიქარიელებს მხო-

ლოდ ეჩვენებათ, თითქოს რაღაც ძალა ზემოდან „აწვება“, სინამდვილეში კი ძალაუფლება სოციუმში ჰორიზონტალურად გავრცელდა და ეს სოციუმი შიგნიდან მთლიანად გამსჭვალა. ამიტომ მიქარიელები სიციალური მოწყობის ნებისმიერ დონეზე, იქნება ეს ხელისუფლებასთან ურთიერთობა, ოჯახი თუ სქესთა შორის კონტაქტები, ყველგან, განწირულნი არიან მხოლოდ „ბატონისა და ყმის“ ურთიერთობებში იარსებონ – ასეთია მათი ბედისწერა, რომელსაც ვერავინ გაექცევა – იძულებითი ბატონ-ყმობა...

მიუხედავად ხალხის ესოდენ დიდი სიყვარულისა, ბელადს მაინც მუდმივი შიში დასჩემდა – ის საკუთარი სასახლიდან არ გამოდის. თუ მაინც, ღმერთმა ნუ ქნას, რაღაც აუცილებლობა აიძულებს ციხესიმაგრე დატოვოს, მას მოჯავშნული ფოლადის ცილინდრს ახურავენ. დადის ასე კოსმონავტივით – წინ მრგვალად ამოჭრილი შუშის გამოსახედით, რკინის ფეხსაცმლითა და გვერდზე გაშვერილი ლეგირებული ფოლადის ხელებით... სკაფანდრში გამოპრანჭული ბელადი ხანდახან ხალხთანაც მიდის და, როგორც თავად უყვარს ხოლმე თქმა, „წარმატებულადაც ხუმრობს“.

მიქარიაში ახლად ჩასული რომ ვიყავი, მთელი ქალაქი მოვიარე, ბევრ აბერაცენელს გავე-

ცანი. ყველაზე თვალშისაცემი შთაბეჭდილება?.. მიქარიელების მენტალობის ორ საყრდენ ბურჯ-ზე ზემოთ უკვე ვთქვი – ფუჭი მრავალსიტყვაობა და წარმოუდგენელი ამპარტავნება, მაგრამ, გარდა ამისა, თვალში მოგხვდებოდათ მეტად უცნაური რამ – ფურთხება... ყველა აბერაცენელი ძალიან მაგრად, უმაგრესად იფურთხება! მოხუცსა და ახალგაზრდას, როგორც ჩანს, ჭარბი ნერწყვდენა აწუხებს – მოქალაქეები ქუჩებს მშვიდად მიუყვებიან და ხოშიანადაც იფურთხებიან... ფაქტობრივად, ფურთხება მიქარიული მასობრივი სპორტი გახდა! ამ ახალ ეროვნულ სპორტში მიქარია საერთაშორისო არენაზე, უდავოდ, დიდ წარმატებას მიაღწევდა და სახელსაც გაითქვამდა, მაგრამ, როგორც ადგილობრივები ნანობენ, ფურთხებაში მათ არავინ ეჯიბრება. მიქარიელები იმედს მაინც არ კარგავენ და მონდომებით ვარჯიშობენ თავიან ქუჩებსა და სკვერებში. მიქარია, პრაქტიკულად, დღესვე მზადაა, მსოფლიოში ყველაზე მაგარი „მაფურთხებლის“ წოდება მოიპოვოს და ამ შანსის ხელიდან გაშვებას, როგორც ჩანს, არც აპირებს!

...როდესაც მიქარიის ისტორიას ვიკვლევდი და „სევასტის პაპირუსს“ მივაგენი, იქ ამ უცნაური გატაცების შესახებ ჯვარსტიკა წინასწარ-

მეტყველებდა: „დადგება უამი ჯერ ბობოქარი რევოლუციისა და გათავისუფლებისა, რომელ-საც მოჰყვება დრო დიქტატურისა და შემდეგ უძრაობისა, და იქნებიან მესიები და ბელადნი, ბევრზე ბევრნი, სულ ბელადნი და მესიები... და იქნება ფურთხება დიდი!.. მორიგ ბელადზე შერყვევისა და შემდგომი იმედების გაწბილებისა გამო, მიქარიელები მუდამ ფურთხებაში იქნებიან. ტფუი!“.

P.S.

დასასრულ, მიქარიელების მთავარ მანუ-  
გეშებელზე მინდა მოგითხოვთ – ეს გახლავთ  
მათი უსაყვარლესი ტელეკომპანია, რომლის  
გადაცემებზეც მთელი მიქარია ჰეროინივით  
ზის – „გოლგოთა TV“. მისი მთავარი გადაცემა  
– თოქ-შოუ „მოინანიე, თორემ დაგენძრევა!“  
საღამოს ასე 7-8 საათზე იწყება. სრულიად მიქა-  
რიას მოსახლეობას ორი დიქტორი ესალმება:  
ზეზვა და მზია...

ზეზვა თითქოს სპეციალურად სექსისგან სრულიად დაცლილი, აშკარად სუფრასთან კაი მომლხენ-მოჭუკჭუკე, მეობასა და გაგებებში ჩაძირული, დიდი მრგვალი თავითა და სქელი, კოტიტა თითებით, ღიპიანი და ოდნავ ასაკში შესული მამაკაცია.

მზია სექსს მონატრებულ-მონდომებული, მრავალჭირნახული, მაგრამ მაინც ლამაზი ქალი, ისიც მეობასა და გაგებებში მოლივლივე, გულ-დაწყვეტილი მზერით ქალბატონია.

იწყებს მამაკაცი, რომელიც ადგილზე ცქმუ-ტავს და მოქალაქეებს ეშმაკური ღიმილით, ხელების აქტიური ჟესტიკულაციით მიმართავს: „საღამო მშვიდობისა, თუმცა, ადრეულ საღამოს მოგესალმებით, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, შეიძლება „გოოდ ევენინგიც“ გითხრათ, რა ვიცი, სამხარმშვიდობისა, შემიძლია გითხრათ კიდე, ჩემო ძვირფასო საზოგადოებავ, ხოლო იმათ, ჩვენ რომ ვიცით, კურდღლებს, მინდა ვუთხრა – რაფერ ხართ, სიმონ, თქვენი შუბა დავხიე მე!“ – ზეზვა კმაყოფილია და გულიანად იცინის.

ამის შემდეგ ესტაფეტას სექსუალური მზია იტაცებს. ის მოსახლეობას ამცნობს: „მოგესალმებით, ჩემო უსაყვარლესო, ჯიგარო ხალხო! მე, უდრეკი მზია, პირობას გაძლევთ, რომ როგორც კი ხელისუფლებაში მოვალთ მე და ჩემი პარტია, უმცირესობას გავანადგურებთ, ხოლო მათ არაკაც ლიდერებს ციხეში ამოვალპობთ, მაგნაძირლებს, მაგათ!“ – შესავლის შემდეგ მზია სასიამოვნო სიახლეებზე გადადის: „გილოცავთ, ჭუკლიკოებო! მიქარიას დედაქალაქში უდიდესი დაივინგ სკოლა – „გაბრწყინებული

ივერია“ გაიხსნა! უახლესი საცურაო ცენტრი – „პოსეიდონის სამყარო“, სხვა ერების დაძირვისა და გადაბუგვის გამო, მოქმედი მხოლოდ გაბრწყინებული მიქარის მოქალაქეებს. წყალქვემა ტურებს უხელმძღვანელებენ გამოცდილი დაივერ-მოძღვრები. ისინი აკვალანგებით წარუძღვებიან ექსკურსიებს, სადაც საშუალება მოგვეცემა, ვიხილოთ და დავტკბეთ დაძირული ინგლისისა და განადგურებული ამერიკის ულამაზესი ხედებით! ოქროს თევზებისა და წყალმცენარების ფონზე, ჩვენ დავინახავთ წარმტაც სურათს – ამერიკის მოქალაქეთა წელში გადამტვრეულ, ხელდაგლეჯილ და ინგლისელების ფეხმოკვნეტილ, ცხვირმოჭმულ, გახრნნილ გვამებს! აბობოქრებული ოკეანის ზედაპირიდან კი თავს ამაყად წამოყოფს ერთადერთი გადარჩენილი ბორცვი – გაბრწყინებული მიქარია – ვაშა!“

დიქტორის გამოსვლა სრულდება მიქარიელებისთვის ერთობ მანუგეშებელი შეძახილით: „ინგლისი დაიძირება, ხოლო მიქარია გაბრწყინდება!“. შემდეგ რეკავს აკლდამის ზარები და ტელეეკრანზე ჩნდება მიქარის სახელმწიფოს შვიდბურთიანი დროშა და გერბი წარწერით: „უვიცობა, სიზარმაცე და შური! უკან!“. ყოველივე ამას ფონად გასდევს ეროვნული ჰიმნი

მისამლერით: „მიქარია გაბრწყინდება, ხოლო  
ინგლისი დაიძირება“. იწყება სარეკლამო ჭრა:  
უღერს მიქარიის ერთხელ და სამუდამოდ დამ-  
სახურებული არტისტების სიმღერები; ისმის  
მზიას ხმა: „მიქარიას ხელოვნება მსოფლიო-  
ში პირველია და ის უკვდავია! ტელეკომპანია  
„გოლგოთა TV“!“... და ისევ ზარები...



## თავი 3

პლანურობა და მლიტარიზმი –  
ნეპოტიზმი



## ზღაპარი ძალლზე, რომელიც მიიწვევდა წინ

ამქვეყნად ცხოვრობდა ერთი უცნაური ძალლი, რომელიც მუდამ მარტო გარბოდა და მიიწევდა წინ – ამაში ხედავდა ის საკუთარ დანიშნულებასა და ცხოვრების აზრს. მუდამ წინსვლისკენ სწრაფვაზე ფიქრობდა, გაჩერებული რომ იყო ან თვლემდა, მაშინაც. ხშირად ამ განუწყვეტელ შეჯიბრებას სხვებთან, შეიძლება ასეც ითქვას, საკუთარი შესაძლებლობების საზღვრების გაფართოებას, სასოწარკვეთამდე მიჰყავდა – ვერ გარკვეულიყო, საკუთარ თავსა და ყოველდღიურობის დამთრგუნველ წნებს გაურბოდა თუ რაიმე სხვა, უფრო მაღალი მიზნისკენ ისწრაფოდა?

ხშირად ძალლი იღლებოდა და ძლიერ ღიზიანდებოდა დამაბრკოლებელ გარემოებებსა თუ ადამიანებზე, რომლებიც გამარჯვებაში ხელს უშლიდნენ, მაგრამ მაინც შეპყრობილი-

ვით, უინიანად, კვლავ აგრძელებდა სვლას. დიახ, ასე – მარტო და წინ!

უმრავლესობის აზრით, წარმომავლობა გან-საზღვრავდა ყველა არსების ადგილს ყოველ-დღიურ ყოფაში, სწორედ ჯიში განაპირობებდა იმ პატივს, რომელიც მათ გარშემომყოფთაგან მიეგებოდათ. წარმატებისკენ სწრაფვის გზაზე, ამ ერთი შეხედვით მართლაც მნიშვნელოვან დაბრკოლებაზე, ძალლი ნაკლებად დარდობდა. ალბათ, იმიტომ, რომ მოცემულობის შეცვლა მის ძალებს აღემატებოდა... არადა, როგორც შემდეგ გაირკვა, თურმე სწორედ ეს ყოფილა მისი მთავარი მიზანი, რომლისკენაც ასე მონდო-მებით მიიწევდა... მაგრამ ამაზე შემდეგ – სულ ბოლოს.

ასე იყო თუ ისე, ჩვენი გმირი წარმომავ-ლობით ვერ დაიკვეხნიდა – კარგა მოზრდილ, სქელბენვიან, უსახელო მანანნალას, „გადი, ძალლოთი“ მიმართავდნენ, უფრო სწორად, ამ შეძახილით თავიდან იშორებდნენ ხოლმე.

უჯიშო ძალლს თავის წარმოჩენა და ყველაზე გამარჯვება სურდა, მაგრამ ფრთები არ ჰქონ-და, ცაში ნარნარად რომ ელივლივა და ამიტომ, თავისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ცდილობდა, ყველასათვის გაესწრო – ალბათ, ამ გზით გადაწყვიტა მან სრული დამოუკიდე-

ბლობის მოპოვება და კოლექტივისა თუ ხროვის აზრისგან გათავისუფლება. შეიძლება ასეც ვიფიქროთ: ძალლს წარმომავლობის ნაკლი უბიძგებდა ასეთი შეუპოვარი რბოლისკენ – მას სურდა ადამიანებისთვის და ყველაზე ჯიშიანი, სწრაფი ძალლისთვის, საკუთარი უპირატესობა თუ არა, თანასწორობა მაინც დაემტკიცებინა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ძალლების დიდ უმრავლესობას ფიქრებშიც კი არ ედრებოდა, მაგრამ თუ დაგლახაკებულ თვისტომს წააწყდებოდა, ჩერდებოდა და ცდილობდა გაემხნევებინა ის:

– ადექი, ძმობილო, გაჩერების დრო არ გვა-ქვს – ჩვენ უნდა გავხდეთ ძალლები ამა სოფლისა და დავასრულოთ კატების ყეფა!

მუდამ ერთსა და იმავე პასუხს იღებდა:

– ვეღარ შემაგულიანებ, ფსკერზე ვარ...

გულჩათხრობილი უჯიშო ძალლი სირბილს აგრძელებდა – გარბოდა, გარბოდა და უკანმოუ-ხედავად წინ მიიწევდა, რადგან უნდოდა, თავად ყოფილიყო პირველი.

ბუნებრივია, მკითხველს დააინტერესებს – სად იყო ეს „წინ“? ძალლმა ასე განსაჯა – იქ, საიდანაც მზე ამოდიოდა და დედამიწას სითბოსთან ერთად ნათელი ეფინებოდა.

დიახ, ის ძალიან იღლებოდა, ხანდახან ეჭვიც

ეპარებოდა, რამდენად გონივრული იყო მისი მიზანსწრაფვა, მაგრამ ამ აზრს უმაღლ უკუაგდებდა. მართლაც, არაქათი ეცლებოდა... ღამით სულ რამდენიმე საათს ისვენებდა, თვალს მიხუჭავდა და თვლემდა; გაღვიძებული კი, გიუკით წამოვარდებოდა (ეს რამდენი დრო გავაცდინეო!) და სირბილს აგრძელებდა. ასეთი იყო უჯიშო, ზორბა, უსახელო ძალლის ცხოვრება – სულ წინ, წინ, წინ, თანაც მარტო!

მაინც რა იყო ამ სირბილის, ასეთი შეუპოვრობის მიზეზი თუ მიზანი? ვითომ წარმატება? ტაშის წყურვილი, გამარჯვებულის ტრიუმფით ტკბობა?.. თუ ძუკნების აღფრთოვანებული მზე-რა და მდედრების ალერსი?.. ალბათ, ესეც იყო, მაგრამ არსებობდა კიდევ რაღაც სხვა, გაცილებით მნიშვნელოვანი, რაც თითქოს, ქვეცნობიერად იცოდა, მაგრამ ჯერ ვერ აყალიბებდა – აზრს სიტყვების ხორცს ვერ ასხამდა. თან აბნევდა, შემდეგ კი გუნება-განწყობას უფუჭებდა, როდესაც ხვდებოდა, რომ დამქანცველი სირბილი თვითმიზნად, აკვიატებულ ჩვევად ჩამოუყალიბდა. ერთი პირობა ძალლმა ასეც კი გაიფიქრა: ალბათ, შეჯიბრების სუბიექტიც რომ არ არსებობდეს, მე მაინც მთელი მონდომებით ვირბენდი – წინ და მარტო.

ხანდახან ძალლს ისიც ეჩვენებოდა, რომ

შეიძალა და ამ უაზრო სირბილის გამო, ყველა დასცინოდა. ხშირად საკუთარ თავთან პირობასაც კი დებდა, დავისვენებ, უკვე ასაკოვანი ვარ და გადავიღალეო. იწყებდა კიდეც ნებივრობას, ძუკნებთან ლაქუცს... მაგრამ გართობას გულს ვერ უდებდა – უძრაობა და განცხრომა ტანჯავდა, შეჯიბრების აზარტი, სიჩქარე, რისკი და პროტესტი უხმობდა. ლამით ძუკნასთან მიწოლილს, მოულოდნელად ელვიძებოდა, ერთხანს მეგობარს ცრემლმომდგარი უმზერდა – რატომდაც შეყვარებულ მდედრებზე გული უჩუყდებოდა. შემდეგ, მადლიერების ნიშნად, დინგზე ენას ნაზად აუსვამდა და, ერთი შეხედვით, უმიზეზოდ, უცებ მოსწყდებოდა – ის კვლავ წინ და წინ, გიჟივით გარბოდა.

ვითომ სადმე ეჩქარებოდა? უნდა მიესწრო? ძნელი სათქმელია. თავად კი, იშვიათი შესვენებებისას, ამბობდა ხოლმე – ისედაც ძალიან ბევრი დრო უქმად დავკარგე და ამიტომ გაჩერების უფლებას თავს ვერ მივცემო.

დაუსრულებელი გარბენის დასაწყისში, უკვდავ უინს, როგორც ზემოთ ვახსენე, საწინააღმდეგო სქესთან წარმატების სურვილით ხსნიდა, თუმცა, წლების შემდეგ დარწმუნდა, რომ არ მიზეზის მნიშვნელოვნებამ მკვეთრად იკლო... მოკლედ, ასეთი მონდომებით სირბილი, ალბათ,

აუხსნელი იყო და ის უფრო საკუთარ თავს უმტკიცებდა რაღაცას, ვიდრე სხვებს... მაგრამ რას?

თუ ბილიკზე, გვერდზე მორბენალ მეტოქეს აღმოაჩენდა, არ ბრაზდებოდა, პირიქით, უხაროდა კიდეც, რომ საშუალება მიეცა, დაემტკიცებინა საკუთარი უპირატესობა. მხოლოდ გზაზე, ტყის ეკალ-ბარდებიდან, ადამიანების მიერ შემოგდებული, დასვენებული და ჯიშიანი ძალლების გამოჩენა უკლავდა გულს...

აი, ეს უსინდისო მეტოქეები კი ძლიერ აღიზიანებდნენ, რადგან უსამართლობას ისედაც ვერ იტანდა და ძლიერ ტანჯავდა ეს განცდა, მასთან შეგუება. აქვე დავძენ, რომ ასეთი განაწყენება დროებითი იყო, ის კვლავ ძალას იკრებდა, სირბილს განაგრძობდა... და წინაც გადიოდა.

ისიც უნდა ითქვას, რომ ადამიანები გარკვეულ მონაკვეთებზე ფინიშის ხაზს ავლებდნენ და გამარჯვებულის დაჯილდოების საპატიო ცერემონიასაც მართავდნენ... ჩვენს გმირს, წესითა და რიგით, უნდა მოეგო, რადგან მთელი დისტანცია წინ იყო, მაგრამ ფინიშზე, რაღაც დაფარული მანქანებით, სრულიად სხვა ძალლებს აჯილდოებდნენ... ეს უსამართლობა უკვე რაღაც მუდმივ ფანტასმაგორიად, საზიზღარ ზმანებად ექცა. მართალია, ამ შუალედურ ფინი-

შებზე ჯილდოს გარეშე დარჩენა გულს სწყვეტ-და, მაგრამ ის მაინც შეუპოვრად განაგრძობდა ამ დაუსრულებელ მარათონს.

ცხოვრებისადმი ერთგვარად მაზოხისტუ-რი დამოკიდებულებაც კი გამოუმუშავდა: რაც უფრო უსამართლოდ მექცევიან, მით უკეთესია ჩემთვის, რადგან იძულებული ვხდები, მოვინ-დომო და კიდევ უფრო ჩქარი სირბილი ვისწა-ვლოო.

სამართლიანობისთვის აღვნიშნავ, რომ უჯიშო ძალლი მცირე, ადგილობრივი მასშტა-ბის გამარჯვებებს იშვიათად, მაგრამ მაინც აღწევდა. მას აჯილდოებდნენ კიდეც... მეორე დღესვე კი სიხარულით ტკბობა საგრძნობლად იკლებდა. ამ დროისთვის ძალლი ხვდებოდა, რომ მიღწეული წარმატება კმაყოფილების ხანმო-კლე განცდას იწვევდა და ამიტომ იძულებული იყო, ისევ ახალი, უფრო მაღალი მწვერვალისკენ აეღო გეზი.

მაშ, მაინც რა იყო ამ გაშმაგების მიზეზი? ვინ რა იცის?..

ქარსა და წვიმაში, სიცხესა და სიცივეში, ღამე თუ დღე სულ გარბოდა და მიიწევდა წინ და მხოლოდ წინ... ვერაფერი აჩერებდა! გარშე-მო გამეფებული უსამართლობის გამო გული კი უვარდებოდა, მაგრამ ტემპს მაინც არ ანელებ-

და. სიჩქარე რომ არ დაეგდო, მოსახვევშიც კი არ უკლებდა სვლას. ამ დროს მიწაზე ჩაჭიდებისგან თათებიდან სისხლი სდიოდა, კუნთებში კრუნ-ჩხვა დანასავით ესობოდა, ენა უხევდებოდა და თვალთ უბნელდებოდა, მაგრამ მაინც არ ჩერ-დებოდა – სულ წინ და წინ მიიწევდა.

რამდენჯერ ისეც მოხდა, რომ გზა ვერ იპოვა, ან წინსვლა შეუძლებელი იყო – ხან კედელი დახვდებოდა თუ მდინარე, ხან გაუვალი ტყის პირას ბილიკი სულაც წყდებოდა. ამ დროს მორბენალი ძლიერ ფრთხებოდა, ვაითუ გზა ვერ გავაგრძელოო, და გაშმაგებული აღმართულ წინაღობასთან ბოლთას სცემდა... ფიქრობდა, გამოსავალს ეძებდა... ეძებდა და პოულობდა კიდეც! განცდილი სიხარულისგან გული ამოვარდნამდე უძგერდა და კისერში ებჯინებოდა. ის უქმად გაცდენილ დროზე დარდობდა და გაორმაგებული ენერგიით გარბოდა.

ამდენი ძუნძულის შედეგად ის ყველაფერს მიეჩვია და აღარაფერი აშინებდა – არც სიბნელე თუ მოგზაურობისას გარდაუვალი ყინვა და შიმშილი, არც ბოროტი ადამიანების მიერ თავში დამიზნებული თოფი, არც მხეცისთვის დაგებული ხაფანგის ვერაგობა და მწარე ტკივილი, მას მხოლოდ შური და ბოლმა – ჯერ ძლიერ აცბუნებდა და აოცებდა, შემდეგ თავზარს სცემდა

და ბოლოს, უკიდურეს მოწყენილობას ჰგვრიდა.

სულ გარშემომყოფთა შურიანობაზე ფიქრობდა – მას ხომ არც რაიმე ქონება ჰქონდა, არც ჯიშიანი იყო, არც ბეწვი უბზინავდა, ვერც დიდი გამარჯვებებით იტრაბახებდა და მაინც ადამიანების უკიდეგანო შური?.. უსახელო ძალლს გარკვეული ახსნა კი ჰქონდა – ეს იყო ამ არსებების ჩამორჩენა, მათში განვითარებისა და განახლების სურვილის ჩაკვდომა... და მაინც ვერ შეეჩინა ამ წყეულ ბოლმას და მუდამ უფრთხოდა.

ის დროც კარგად ახსოვდა, როდესაც სულ რაღაც 10-15 წლის წინ თავად ეკლესიის ეზოში შარვლიან ქალებსა და მოკლეკაბიან გოგონებს ფინია ძალლივით, გაკიცხვის ნიშნად უყეფდა. ერთხელ ქალაქის პარკში შეისეირნა და მომხიბვლელ ძუკნას მიაშტერდა. შორიახლოს ადგილობრივი „ძველი ბიჭების“ ჯგუფი გამოჩნდა, ვიღაცას თავგამოდებით მისდევდნენ. როდესაც გაუსწორდნენ, ერთ-ერთმა შესძახა, ძალლო, წამო ჩვენთან, საყურიან „პიდარასტს“ მივდევთო. ისიც აჰყვა კოლექტივის ძახილს და გაეკიდა... მირბოდა და, ოდნავ რომ მოიქაცა, დაფიქრდა – კი მაგრამ, მე რაღას ვერჩი ამ „პიდარასტია“ თუ ვინც არისო?.. და გაჩერდა... ჯერ შეუმჩნევლად ჯოგს ჩამორჩა, მერე მიიხედ-

მოიხედა... და ბუჩქებში გადახტა. მას შემდეგ დაიფიცა და მუდამ ცდილობდა ეს წესი არ დაერღვია – სანამ მასის ძახილს აჰყვებოდა, კარგად დაფიქრებულიყო, რამდენად მართებული იყო კოლექტივისა თუ ხროვის მიერ განსხვავებულის დევნისა და ჩაგვრის მიზეზი... ბოლოს კი მიხვდა, რომ უმრავლესობის ინდივიდებზე ძალადობა მუდამ უსამართლოა, ვისზეც უნდა ხორციელდებოდეს ის და რა დიადი მიზნებითაც უნდა მართლდებოდეს.

უჯიშო ძალლი საკუთარ ბუნებასა და ადამიანებზე, ყველაფერსა და ყველაზე მაღლა დადგა და დაასკვნა – ნებისმიერი სახის ძალადობა დაუშვებელია და ამაზრზენი. ცხოველი ლმობიერ, კეთილშობილ არსებად იქცა... მაგრამ ამაზეც სულ ბოლოს.

...ყოველივე კი ასე დაიწყო: თავიდან, კარგახანს ნელა დარბოდა – ერიდებოდა კოლექტივის წევრებს, ხროვიდან გამოყოფის რცხვენოდა – შიშობდა, არ გამკიცხონ; შემდეგ უმატა და მოეწონა; ბოლოს კი, სულ აიწყვიტა და რაც ძალი და ლონე ჰქონდა, უკანმოუხედავად დაეშვა – უჯიშო ძალლმა ბრბოსთან დაპირისპირების შიშს სძლია!

არავის ეპატიება კოლექტივისა თუ ხროვის ერთობის დარღვევა, მით უფრო, უჯიშოებს.

უკვალოდ არც ჩვენი გმირის განდეგილობას ჩაუვლია – ის ჯერ შეიძულეს და გარიყეს, ხოლო შემდეგ უცნობლობისა თუ უჩინმაჩინის ქუდი ჩამოაფხატეს. საუბედუროდ, ალბათ, ეს ჩემი ბედია, ადამიანები ხშირად შეშლილად მიმიჩნევენო, – ასე ინუგეშებდა თავს ძალლი. მდედრებიც ასე მამკობენ, – შენ ნამდვილი გიჟი ხარო, – ის კი არ იციან, რომ ეს ჩემთვის უმაღლესი შექებაა.

ჩვენ კი შეგვიძლია, მხოლოდ ვივარაუდოთ შემდეგი: უსახელო ძალლი მიხვდა, რომ მისი მთავარი დანიშნულება თავისუფლებისკენ სწრაფვა იყო; თავისუფლების ნეტარებას კი ის სწორედ მარტოობასა და სირბილით წინსვლაში პოვებდა, დამოუკიდებლობის სისავსეს ეძიებდა, მისით ტკბებოდა.

რატომ გადავწყვიტე ვითომ ასე? რატომ და თავისუფლებისკენ სწრაფვა ხომ ყველა არსების ბუნებაშია ჩადებული, ადამიანი იქნება ის თუ ცხოველი. უბრალოდ, შინაურ ცხოველებს მოშინაურებისას, ზოგიერთის შეხედულებით კი, დამონებისას, ეს მათი „ძირითადი ინსტინქტი“ კუთხეში თბილი ადგილით, პატრონის საკვების ნარჩენებითა და თავზე ხელის გადასმით, დაავიწყეს. დროთა განმავლობაში თავისუფლების მოთხოვნილებაც დაჩლუნგდა. მართალია, ხან-

დახან შინაური ძალლიც იხსენებს თავის პირ-ვანდელ ბუნებას და ბოროტ პატრონს მწარედ ჰქონის – ასე ცდილობს ის შეძლებისდაგვარად დაიცვას საკუთარი მარჩენალი საბოლოო გავე-ლურებისგან. უგუნური ადამიანი კი ამ გაკვეთი-ლიდან შესაბამისი დასკვნის გამოტანის უნარს მოკლებულია და, მადლობის მაგიერ, პირიქით, ძალლს სასტიკად სჯის.

ადამიანებზე დაკვირვების შედეგად, ძალლმა დაასკვნა: ღმერთი პირნათელია კაცობრიობას-თან, რადგან მას ყოველივე უხვად დააბერტყა – კეთილი გული, ერთგულება თუ სიყვარული, რომ ძალლამდე ამაღლებულიყო... დამატებით მიანიჭა მეტყველების უნარიც, რომ სიკეთე ექადაგა და ხელები – კეთილი საქმეების საკე-თებლად, მაგრამ, ძალლებისგან განსხვავებით, ადამიანებმა ბოროტება აირჩიეს.

...ერთხელ ძლიერ დაქანცული ძალლი გზის-პირა ვაშლის ხის ძირას გაიშხლართა, თვალები მილულა – ის განვლილ დღეზე, გაგონილზე, ნანახზე ფიქრობდა... დარტყმისგან გაეღვიძა, თავზე კარგა მოზრდილი ვაშლის ნაყოფი დას-ცემოდა... უეცრად, თითქოს გონება გაუნათდა – ძალლი მიხვდა, რა სურდა მას, რისთვის მირ-ბოდა და იმარჯვებდა ამდენი წელი, როგორი იყო მისი საბოლოო მიზანი:

„თურმე ამდენი წელია მსურს დავამტკიცო, რომ არ არსებობს კონკრეტული „ადამიანი“ თუ „ძალლი“, არ არსებობს ჯიშიანი და უჯიშო არსება, არც მაღალი თუ დაბალი, არც უშნო თუ ლამაზი, არამედ ჭეშმარიტებისთვის არსებობს მხოლოდ „ღმერთი“ და „ეშმაკი“, კეთილი და ბოროტი, ჰუმანური და გულქვა;

მე მწყურია, წავშალო ზღვარი ადამიანსა და ძალლს შორის, მინდა, თუნდაც ერთი მანანნა-ლას მაგალითზე დავამტკიცო, რომ ფასეულია მხოლოდ წესიერება, სინდისი და პიროვნული პასუხისმგებლობა;

პირობითად, „ადამიანსა“ და, ასევე, პირობითად, „ცხოველს“ ერთმანეთისგან განასხვავებს მხოლოდ გაკეთილშობილებისკენ სწრაფვა. უკულტურობა კი ნებისმიერი არსების პირვანდელ ველურ მდგომარეობასთან დაბრუნებას იწვევს;

არ არსებობს კაცი და ქალი, თეთრკანიანი და შავკანიანი, ჯანმრთელი და ხეიბარი – ყოველივე ეს, ვიღაცის მიერ გამოგონილი, სხვაზე უშრომელი უპირატესობის მიღწევის სურვილით ნაკარნახევი ტერმინებია – მათ შეიძლება, ღვარძლიან გულში დაბადებული მეტსახელებიც ვუწოდოთ... უფრო მოკლედ რომ ვთქვა – მე მსურს ავაფეთქო ყველა წარმოსახვითი უპირა-

## ტესობის მითი!

მნიშვნელოვანია მხოლოდ მიღებული ცოდნა და პიროვნული დახვეწისთვის განეული შრომა – იგივე შრომისუნარიანობა, ბოლოს კი ამ გზაზე გამუდვანებული ნიჭი თუ ტალანტი, ხოლო უვი-ცობას, სიბნელესა და მცონარებას ნებისმიერი არსება გაცხოველებისკენ მიჰყავს;

ნებისმიერი ცოცხალი არსების ჭეშმარიტი არსის განმსაზღვრელი წყალგამყოფი კი მაინც, ერთი მხრივ, სიკეთისა და სინანულის, სინდისის ქენჯნისგან მწარე ცრემლის ღვრის უნარსა, და, მეორე მხრივ, ბოროტებას, ბოლმას, შურსა და ყეყეჩის ამაყობას შორის გადის... ასეთია ძირი-თადი ზღვარი;

ხშირად მსმენია: ამა თუ იმ ერთობის ჩამორ-ჩენის მიზეზი მათი მწირი განათლებაა. შეიძლე-ბა, თუმცა მიმაჩნია, რომ, პირველ ყოვლისა, მუდმივი სინდისის წუხილი აკეთილშობილებს ნებისმიერ არსებას და მხოლოდ შემდეგ მოდის, წესიერებისთვის სავსებით საკმარისი, თუნდაც საშუალო დონის განათლება და არა, პირიქით – ჯერ განათლება და მერე სინდისი. წესიერის სახელი ხომ ცოდნაზე გაცილებით ძნელი მოსახ-ვეჭია და მისი დაცვა ხშირად თავგანწირვას მოი-თხოვს... ხოლო სწავლული იმავე ყურმოჭრილ ყმად დარჩება, თუ დინების წინააღმდეგ ცურვის

დაუოკებელი სურვილით არ იქნება შეპყრობილი, ოღონდ, დამატებით, მას ცოდნის სახითათო მახვილი ექნება ხელთ...

დასაბამიდან ასე ყოფილა – ნებისმიერი ცოცხალი არსება ცდილობს, ვისთანაც გაუვა, იძალადოს. ასეთ ქცევას კარნახობს მას თვით-გადარჩენის ინსტინქტი და საკუნეების განმა-ვლობაში ჩადებული გენეტიკური კოდი. მე კი მწამს – ყველას შეუძლია საკუთარი ცხოველური ბუნების დათრგუნვით კეთილშობილ არსებად იქცეს და თავის თავზე გაიმარჯვოს – აი, ამას მინდა მივაღწიო საკუთარი ბუნების გადად-ნობით. ძალმიძს, თუნდაც ერთი მაწანწალა და უცნობლობაში გაზრდილი ძალლის მაგალითზე ყველას დავანახვო ჩემი ხორცშესხმული ოცნე-ბა. რა ვქნა, მე მსურს, ასე იყოს...

ჩვენ ხომ ყველანი ძალიან ცუდები და ულმო-ბლები ვართ, უამრავ უმსგავსობას ჩავდივართ. ამ მანკიერ გზაზე, მთავარია, ჩვენში კეთილის, კარგის გაელვება იყოს თვალისმომჭრელი“.

კვლავ ძილი მოეძალა. თავში ფიქრი ირეოდა: „ჩემი დევიზია: „ნინ და ზემოთ!“ ნინ – გასაგე-ბია, ზემოთ კი მაშინ გავემგზავრები, როდესაც წინსვლას ვეღარ შევძლებ... დასვენება მერეც მეყოფა“. ძალლმა თავი გააქნია, წამოდგა და სირბილი განაგრძო.

\* \* \*

## დასასრული

აქ უსახელო ძალლზე თხრობა დასრულდებოდა, რომ არა ამას წინათ თამბაქოს ჯიხურის ღამის მორიგე გამყიდველისგან მოსმენილი ამბავი...

ჩვენი ძალლი ახალი წლის ღამეს „ქუჩის ქალებს“ გამოჰქომაგებია, როდესაც მათ შავი დიდი „ჯიპი“ წაუჩერეს და კარგა შემთვრალმა, სქელკისრიანმა, თავლაპლაპა „დაცვის ბიჭებმა“ გინება დაუწყეს. ძალლი მოკლეკაბიან გოგონებსა და მანქანიდან გადმოსულ ღიპიან ახმახს შორის ჩამდგარა და მისთვის ყეფა დაუწყია. „ბოზებში“ სახელდახელოდ შემორბენილი მამრები, რაღა თქმა უნდა, აღშფოთებულან – ისინი სამსახურიდან სულ რაღაც ნახევარი საათით იყვნენ გამოპარულნი, ხომ უნდა მოესწროთ „დაცლა“?! „ოპერატიული რეაგირებაც“ შესატყვისი ყოფილა – უკანა სავარძელზე მჯდომ მთვრალ „კლიენტს“ ფანჯარა ჩამოუწევია და „არამკითხე მოამბეს“ მიმართულებით გაუსვრია. ამასობაში კი ერთი ქალი ხუთ აღტყინებულ ძალოვანს „საბითუმო“ ფასზე შესთანხმებია და მანქანაში კისკისით ჩამხტარა.

თამბაქოს გამყიდველ გოგოს, როგორც კი „ჯიპს“ იქვე, ბნელ ჩიხში, შეუხვევია, ქუჩა

გადაუკვეთია და მოპირდაპირე მხარეს გადასულა... იწვა თურმე ასფალტზე კარგა მოზრდილი, სქელბენვიანი მაწანწალა ძალლი და გავარვარებული ტყვიისგან გულმკერდი უდუღდა, გარშემო სისხლის გუბე იდგა. ძალლს თვალში ცრემლი ჩასდგომოდა... გამყიდველმა გოგომ თქვა, საწყალ ცუგას რამდენიმე კვნესაც აღმოხდა, ალბათ, სიმწრისგან ტიროდაო...

დილით ადრე ნაგვის მანქანას ჩამოუვლია. ინფექციური საავადმყოფოს წინ, ტროტუარზე დაგდებული, ბეწვზე სისხლშემხმარი ძალლის გვამი სტაფილოსფერ უნიფორმაში ჩაცმულ ორ მამაკაცს სანაგვე მანქანის დაღებულ „ხახაში“ გადაუსვრია...

ამ ამბის მოსმენის შემდეგ და მდიდარი პირა-დი გამოცდილების გათვალისწინებით გადავწყვიტე, ტრადიციულ ზღაპრულ დასასრულზე უარი მეთქვა და თხრობის ფინალი რეალურ ცხოვრებასთან მიმესადაგებინა:

ქატო აქაა, ფქვილი კი იქ, ჭირიც აქაა, ლხინი კვლავ იქ.

## ეპილოგი

### რეპრენდი

მესაფლავები გზას მიუყვებოდნენ. წვიმდა. ჭუჭყიანი ტილოებით გადახვეული სხეულები ფეხებს ძლივსლა მიათრევდნენ. დაწყლულებულ მხრებზე პირქვე ამობრუნებული კუბო გაედოთ. კუბოში სამშობლო ჩაეწვინათ. მიქარიელები მიქარიას მიასვენებდნენ.

პროცესიას ღიპიანი ბიძიები და სქელკისრიანი ახალგაზრდები მიუძღოდნენ. ხელში ხატები და მიქარის ტურისტული ბუკლეტები ეჭირათ. გადაპარსული, მელოტი თავები წვიმისგან ულაპლაპებდათ. შემდეგ თმაგაშლილი დედაკაცები მოდიოდნენ. მათ აქეთ-იქიდან ახლო ნათესავები ამოსდგომოდნენ. ჭირისუფლები ცივი ხმით კიოდნენ. ოდნავ უკან გაპრანჭული, წითელსაცხიანი, ოქროებით დახუნძლული დეიდები მოგოგმანებდნენ. მკერდმოშიშვლებული ქალბატონები გზად უწმანურ ანეკდოტებს ყვებოდნენ. კეკლუცი კისკისის დასაფარად შეშუპებულ სახეებზე ხელს იფარებდნენ. ბავშვებიც იყვნენ.

გამოკვეთილი წარბზედა რკალები. დამსკდარი ბაგეები. ადამიანების უმეტესი ნაწილი

ლურჯ ლაქებს დაეფარა. თითქოს სულს ღაფა-  
ვდნენ, მაგრამ პროცესია მაინც ჯიუტად წინ  
მიიწევდა. თავდაყირა დაკიდებულ ქვეყანას  
უფსკრულისკენ მიათრევდნენ...

მათ შორის არაფერი იყო საერთო – სრული  
გაუცხოება სუფევდა, მხოლოდ ჩამყაყებული,  
ჩირქივით ჩაგუგებული ბოლმა აერთიანებდათ.  
კუჭი – საჭმლისგან დაცლილი, თავი – ფიქრე-  
ბისგან, სხეული – ძალ-ღონისგან.

მიქარიელები მიქარიას ასაფლავებდნენ.

ტაძარს მიუახლოვდნენ. პირჯვრისწერა,  
ზეცისკენ ატრიალებული, მინაბული თვალე-  
ბი, „უფალო შეგვიწყალეს“ ჩურჩულით. ეზოში  
შევიდნენ და შედგნენ. კუბო ტალახიან მინაზე  
პირქვე დააგდეს. ეკლესიიდან შავ კაბაში გამოწ-  
ყობილი ორთეხა მხეცი გამოვიდა. მას ნორჩი  
მიქაროსნები თავს ევლებოდნენ და ფუმფულა  
მტევნებს ულოშნიდნენ. მხეცმა მგლოვიარენი  
დალოცა. კუბო ეკლესიას სამჯერ შემოატარეს.  
ბოლოს, კედელს სამჯერ მიაჯახეს და სამარის-  
კენ სვლა განაგრძეს. სამგლოვიარო პროცესიას  
წინ კაბიანი მხეცი წარუძლვა. დაგუდული ხმით  
სიმღერა წამოიწყეს:

მოდის ცეცხლი ზეციდან,  
ღმერთი გვლოცავს ზევიდან.

ქეიფს ვიწყებთ დილიდან,  
ვიქირავებთ დილიუანს.

უქნარ-უქნარ, მიქარ-მიქარ,  
მშიერ-მშიერ, ზღაპარ-ზღაპარ.  
უფსკრულ-უფსკრულ გადახტი,  
ნეტარ-ნეტარ გალალდი.

მისამლერი:

არ იფიქრო, არ იდარდო – იძირება ინგლისი,  
მიქარია გაბრწყინდება, დგება ჩვენი აისი!

ხალხის მასა ეკლის გალავნის დერეფანში წინ  
მიიჩევდა. გზადაგზა განაპირა ტყიდან გამოსუ-  
ლი მხეცები ბავშვებსა და მოხუცებს კლანჭებს  
ავლებდნენ და ტყეში იტაცებდნენ. მიქარიელები  
მსხვერპლს მხოლოდ თვალს აყოლებდნენ და  
მტაცებელთა უძლეველობას პატივს მიაგებდ-  
ნენ.

მწერლები ამ ეპიკურ ლაშქრობას თავიანთ  
შემოქმედებაში ხოტბას ასხამდნენ. დასრულე-  
ბულ, მორიგ საეტაპო ტომს მტვრიან თაროზე  
დებდნენ და ახალს იწყებდნენ. თითო წიგნში  
ავტორი გასამრჯელოდ ძეხვის კოლიესა და  
გოჭის კულონს იღებდა.

მრავალსაუკუნოვანი ქრონიკა შემდეგ

სურათს გადმოგვცემდა: ერთბაშად მკვლელობა საკმაოდ შრომატევადი პროცესი უნდა ყოფილიყო; ამიტომ ქვეყანას ნაწილ-ნაწილ და თანდათან ღალატობდნენ, ყიდდნენ, ახრჩობდნენ, ხერხავდნენ, ანაწევრებდნენ და კუბოში აწყობდნენ; რაღაც მომენტში დროთასვლა აჩქარდა – მიქარიელებმა უკანასკნელი ძალები მოიკრიბეს და ქვეყნის დასაფლავება გადაწყვიტეს; მესაფლავებმა კუბოში ჩაწვენილი მამული კიდევ ერთხელ აათვალიერ-ჩამოათვალიერეს, კუბო ამოატრიალეს, მხრებზე შემოიდეს და უფსკრულისკენ გზას გაუდგნენ.

...დასაფლავებამდე დაუსრულებელი სუფრა და მრავალსაუკუნოვანი პანაშვიდები ყოფილა. სუფრაო – პირობითად თუ უწოდებდი – მაგიდაზე მხოლოდ წყალწყალა ღვინო, გამხმარი მჭადის ნატეხები, ლობიო და უხვად ნივრის მწნილი ეწყო.

საქმე? მომავალი დღისთვის შესასრულებელ საქმეებს ქაღალდზე წერდნენ, ნაირ-ნაირ ნაგებობებსა თუ შენობებს, გზებსა და არხებს ხატავდნენ... საღამოსკენ კი, ყოველივეს, როგორც შესრულებულსა და აშენებულს, ისე შლიდნენ. დილით ისევ ოცნებობდნენ და ეს ფანტაზიები ფარატინა ფურცლებზე გადაჰქონდათ.

იყვნენ ასე მიქარიელები ბოლმისა და

შურისგან მუდმივ დუღილში. ადამიანებს შიოდათ, მაგრამ ხელს არავინ ანძრევდა. მხოლოდ ბელადებს ირჩევდნენ და მათ საამო დაპირებებს უსმენდნენ. ბელადთან განსაკუთრებით დაახლოებულები მას უკანალსაც ულოკავდნენ. მიქარიაში კერპების სჯეროდათ და ეთაყვანებოდნენ.

...მოულოდნელად განაპირა ტყე თითქოს გაიხსნა, ეკლის გალავანიც სადღაც გაქრა და მიქარიელების თვალწინ მომხიბვლელი მწვანე მდელო გადაიშალა. ჰორიზონტზე, გორაკებს შორის, კამკამა მდინარე მიედინებოდა. ზემოთ მზე, ცისფერი ცა, ადგილ-ადგილ თეთრი ლრუბლები. მგლოვიარეთაგან ოდნავ მოშორებით მშვენიერი ჭაბუკი იდგა და თხებს აძოვებდა. ბიჭს ხელში სტვირი ეჭირა და მომაჯადოებელ მელოდიას ასრულებდა. მოლზე უმშვენიერესი გოგონა იჯდა, თავზე მინდვრის ყვავილების გვირგვინით. იქვე დიდი ბომბორა ძალლიც თვლემდა.

ექვს ქათქათა თხას შორის, სიდიდით ერთი გამოირჩეოდა – ელვარე შავი მატყლი, უკან გადაღუნული გრძელი რქები. შუბლში კაშკაშა წითელი მინანქრის მრგვალი ბეჭედი ჩაზრდოდა, გაურკვეველი წარწერით.

მწყემსმა გამვლელთ გახედა, ღიმილით თავი

დაუქნია და დაკვრა განაგრძო. გოგო სიმღერ-  
სიმღერით წამოხტა და ყვავილების კრეფა დაიწ-  
ყო. დიდი თაიგული მიქარიელებს მიართვა...

კაბიანმა მხეცმა იბლავლა, – ხალხნო, გაფრ-  
თხილდით – ანგელოზის სახით მოვლენილი ეშმა  
გამოგვეცხადაო და მარჯვენა ხელი ზემოთ  
აღმართა: „მიქარიელნო, სდექ! განვედ, სატანავ,  
განვედ!“. ძალლი წამოხტა და კაბიან ორფეხა  
არსებას ღრენა დაუწყო. მან ჯოხი მოუქნია და  
დაიყვირა: „მიდით, ჩაქოლეთ!“.

მამაკაცებმა ქვები მოიმარჯვეს, ქალებმა –  
ტალახის გუნდები. დიდი ალიაქოთი შეიქნა...  
ძალლი განუწყვეტლივ ყეფდა. ბრძო წინ მიიწე-  
ვდა... უცებ, ისევე მოულოდნელად, როგორც  
გამოჩნდა, მდელო, ყვავილები, გოგო- ბიჭი...  
ყველაფერი გაუჩინარდა და კვლავ უღრანი ტყე  
გამოიკვეთა. გზის განაპირას, ორივე მხრიდან,  
ისევ ეკლის გალავანი აღემართა და კუბოია-  
ნი მიქარიელები კვლავ დერეფანში აღმოჩნდ-  
ნენ. მხეცს გახედეს. მან კაბა ჩამოიფერთხა და  
ხალხს წინსვლა უბრძანა.

მესაფლავეთა ერთი განსაკუთრებით ერჩო-  
და გორაკებზე გადაჭიმული მდელოების ბინა-  
დართ. ასეთი ადგილები, კაბიანი მხეცების  
თქმით, როსკიპებისა და მამათმავლების სიუხ-  
ვით გამოირჩეოდა. სწორედ მათში ხედავდნენ

მიქარიელები ღვთიური რისხვის მიზეზს. კაბიან მხეცთა კასტის სწავლებით, მდელოელებისგან მიქარიელების მთავარი მონაპოვრის – სულიერების – წართმევის უდიდესი საფრთხე მოდიოდა. ამ საკითხის გარშემო ირაზმებოდა ერი და ბერი, ამავე პრობლემას უძლვნიდნენ თავიანთ მხურვალე გამოსვლებს ბელადებიც.

ამასობაში, საკუთარი მნიშნელოვნებისგან გაბლენძილი პოლიტიკოსები, მონდომებით ფულს იპარავდნენ. მართალია, ბოლო დროს მექრთამეობა შემცირდა, სამაგიეროდ, ხელფასებმა არნახულად იმატა. წესითა და რიგით, მოპარვა აღარც უნდა დაგჭირვებოდა, თუმცა ბევრი ჩინოვნიკი თავს მაინც ვერ იკავებდა და ხაზინას ქურდავდა.

ხალხი კი კვლავ გაჭირვებისგან წელში იხრებოდა და ტყდებოდა. პოლიციაც მხოლოდ უბრალო ადამიანს ერჩოდა – მას სცემდა, ნარკოტიკ-სა თუ იარაღს უდებდა და აპატიმრებდა. მართალი რომ ვთქვათ, არც მიქარიელები აკლებდნენ ხელს – მამაკაცები ერთმანეთს დიდი დანებით ჭრიდნენ ან იარაღით ხოცავდნენ, ხოლო ქალებს უმოწყალოდ სცემდნენ, ხანდახან კი მათაც კლავდნენ. ამ უკანასკნელი დანაშაულისთვის სასჯელი მაინც ნაკლები იყო. აღშფოთებული მიქარიელები მიტინგებზე მრისხანედ მოითხო-

ვდნენ, რომ პოლიტიკოსებს თუნდაც მდედრის ცემის ლეგალიზაცია მოეხდინათ.

ერთი მთავარი მქადაგებელი მხეციც ჰყავდათ – სახელად „ქათქათა პატრობერმუხა“. ის მუდამ ეროვნულ ფასეულობებს ახსენებდა ხალხს. მისი მთავარი ფუნქცია ახალ-ახალი ზღაპრებისა და სიტყვების გამოგონება გახლდათ. მაგალითად, „სულიერება“, „კდემამოსილება“, „ფერხთბანა“, „ხელზე მთხვევა“, „მიქარიის გაბრწყინება“ „ერთმორწუნე ძმა“, „მასონები“ და მრავალი სხვა.

ეკლესია ინახავდა ერის უმანკოებას, კდემამოსილებას, უბინოებას, ნამუსსა და წესიერებას. მარხვა მკაცრი იყო და მეტანიები უხვი. სულიერი მოძღვრების მთავარი წიგნი მიქარიის დედაქალაქის ტაძრის ამბიონზე იდო – მას ვერავინ ეკარებოდა, წიგნში რა ენერა, არც იცოდნენ, არც აინტერესებდათ. აუცილებელი მხოლოდ კვირაობით ამ ფოლიანტზე მთხვევა იყო და ორფეხა მხეცის ხელზე ამბორი.

ხალხი სწავლების წიგნის შინაარსს მხეცების ქადაგებით ნაწილ-ნაწილ ეცნობოდა. როგორც კაბიანები განმარტავდნენ, წიგნი გაჭირვების მორჩილად დათმენას ბრძანებდა და იმიერი ცხოვრების ნეტარებას აღწერდა. დამატებით, მხეცები ერს აფრთხილებდნენ, რომ ყველას,

ვინც ამიერ ცხოვრებას ფუფუნებასა და განცხრომაში გაატარებდა, ღმერთი ჯოჯოხეთში ჩაყრიდა. აქ კი ყველაფერი გამზადებული იყო – ჰერიტეიტის დიდი მატლიცა და აგიზგიზებული კოცონიც.

...ასე იყო თუ ისე, მიქარიელები მიქარიასთან ერთად უფსკრულისკენ ჯიუტად მიიწევდნენ. რაში მდგომარეობდა თავად ხალხისთვის ამ შეუჩერებელი მსვლელობის აზრი? როგორც კაბიანების ქადაგებიდან ირკვეოდა, მხოლოდ უფსკრულში გადავარდნის შემდეგ შეძლებდა ადამიანი ჭეშმარიტ ბედნიერებასთან ზიარებას. ამ ნარატივს, ნაირ-ნაირი ხატოვანი დეტალით, ხალხიც დიდი გატაცებით იმეორებდა. გულის სილრმეში კი მათ ისე ჰერიტეიტ მობეზრებული ეს მიქარიული ულიმდამო ყოფა, ისე მოსწყინდათ დედამიწაზე დუხჭირი არსებობა, რომ ერთი სული ჰერიტეიტ, როდის გადაცვივდებოდნენ უფსკრულში და... იმქვეყნიურ ცხოვრებაში... ეგებ მართლაც რაიმე სიხარული ენახათ. ცხადია, იმაზე უარესი და მომაბეზრებელი, რაც მიქარიაში იყო, იქ არაფერი დახვდებოდათ... ამიტომაც ისინიც შეუჩერებლივ მიდიოდნენ და წინ მიიწევდნენ.

უამრავი დღესასწაულის მიუხედავად, გარშემო ყველაფერს სიკვდილის ანაბეჭდი ედო.

შიმშილი და გაჭირვება ბატონობდა. ხრწნისა და ჩირქის სუნს მოეცვა მიქარია. სამგლოვიარო პროცესია არ ჩერდებოდა.

მოსახლეობა ცხოვრების გაუმჯობესებაზე სრულებით არ ზრუნავდაო, ვერ იტყოდი. ვისაც კი შეეძლო და მარითათი ჰქონდა, გარბოდა და, თუ ტყის მტაცებლებს გადაურჩებოდა, მზით განათებულ გორაკებსა და მწვანე მდელოებს აფარებდა თავს. მამაკაცები ნაკლებად, უფრო ქალები მიდიოდნენ. ისინი უეცრად გადახტებოდნენ ხოლმე ეკლის გალავნისკენ და განაპირა ტყეში საოცნებო მინდორ-ველების საძებრად გარბოდნენ. მართალია, ეკლისგან სახე, კისერი თუ ტან-ფეხი მთლიანად უსისხლიანდებოდათ, მაგრამ ალბათ, უღირდათ... გაქცეულები საკუთარ სამშობლოში ცოცხალი თავით აღარ ბრუნდებოდნენ, ამიტომაც მათ „გაღწეულები“ უწოდეს. ეს ადამიანები, როდესაც მათ მიქარიელი ნათესავი წერილს მიწერდა და დაბრუნებას სთხოვდა, ასე პასუხობდნენ – მოგიტყანთ მთან-მინდა და ციხე-კოშკებიო!

ქალები უცხო ქვეყანაში ან მოხუცთა მომვლელებად მუშაობდნენ, ანაც ბორდელებში ბოზობდნენ. ამ გზით ნაშოვნი ფულით კი სამშობლოში მამაკაცებს ინახავდნენ. ეს უკანასკნელნი, თავის მხრივ, ან ქეიფობდნენ, ან

„წამალს“ იკეთებდნენ, ძირითადად კი უსაქმურად ისხდნენ და მუავე ლუდის წრუპვის თანხლებით, დომინოს უჭახუნებდნენ, „ტრუხა“ პლანს აბოლებდნენ და მორიგ მთავრობას გამეტებით აგინებდნენ.

მიქარია კი ლპობასა და ობს მოეცვა, ხალხი თანდათან გვამური ლაქებით იფარებოდა.

პროცესია უსასრულოდ გაიჭიმა.

ყველაზე საშინელი ამ მომაბეზრებელ სვლაში ის იყო, რომ გლოვა არ სრულდებოდა. უფსკრულისკენ გზა საუკუნეებს ითვლიდა და მას ბოლო არ უჩანდა. მესაფლავები დაიქანცნენ, რეკვიემის მელოდია კი არ წყდებოდა. სამგლოვიარო ორატორია საუკუნეებში გრძელდებოდა და სულ ისმოდა და ისმოდა...

ზოგიერთი ამ მოვლენას დადებითადაც კი აფასებდა და მასში ერის თანდათან ვირთხებად გარდაქმნის პერსპექტივას ჭვრეტდა – ეს იყო მათი წინასწარმეტყველებით ერის გადარჩენის ერთადერთი გარანტია.

უფსკრული თითქოს გამოჩნდებოდა, მგლოვიარენი ბოლოს და ბოლოს, ხრამში გადაჩეხის მოლოდინით ხარობდნენ და... ეს ოხერი ნაპრალი ისევ უკან იწევდა და სადღაც უჩინარდებოდა. გადაღლილ ადამიანებს კვლავ წვიმასა და ტალახში სვლა უწევდათ.

P.S.

...როგორც ჰყვებოდნენ, ზოგმა უფსკრულ-საც მიაღწია – მათ „წმინდანებს“ უწოდებდნენ. თუმცა, როგორც სულ ერთი-ორი შემორჩენილი განდეგილი ამტკიცებდა, უფსკრულამდე მისულებიც და შემდეგ გადაცვენილებიც მუდ-მივი ვარდნის პროცესში იყვნენ და ფსკერს ვერ ასკდებოდნენ. მათი ვარდნა არ წყდებოდა და გულები ფრიალისგან უსკდებოდათ. სიკვდილის მიუხედავად, მიქარიელი წმინდანები მაინც შავ უსასრულობაში მიექანებოდნენ.